645/
1971/3



# საქართველოს ქალი

ოქტომბერი
№ 10 1971 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კონსტანტინე გამსახურდია 80 წლისაა

შესრულდა 80 წელი გამოჩენილი ქართველი მწერლის — კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან. მრავალი მილოცვა და კეთილი სურვილები მიიღო მან თავისი მადლიერი მკითხველებისგან, მეგობრებისგან, ნაცნობებისგან, უცნობებისგან. კონსტანტინე გამსახურდიას სახელი შორსაა გასული. მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ქვეყნის ყოველ კიდეში გვეგულება. ჭეშმარიტად საამაყოა იგი ქართველი ერისათვის. ჩვენი ჟურნალის უამრავი მკითხველი გულით ულოცავს ბატონ კონსტანტინეს ამ შესანიშნავ თარიღს. ქართველი ქალი მუდამ მადლიერი იქნება მისი კალმისა, რადგან მწერალმა თავის გმირთა გალერეაში განსაკუთრებული სიფაქიზით დახატა იგი — შორენა, დედისიმედი. ეს ორი სახელი აერთიანებს ქართველი ქალის ბუნებას, მის კდემამოსილებასა და შემართებას, მოწყალე გულსა და მშვენიერებას, თავგანწირვასა და ერთგულებას...

ძვირფასო ბატონო კონსტანტინე, ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს და ქართველი ქალების სახელით გილოცავთ დაბადების 80 წლისთავს. დაე, დიდხანს ემსახუროს მამულს თქვენი მჭრელი კალამი, თქვენი პოეტური თვალი, თქვენი გაუტეხელი მარჯვენა!

645
1971/3
ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისში“ სასახელო წარმატებებს აღწევს საკავშირო კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა კომუნისტი მარინე აბულაძე.

ბრიგადაში 36 ქალიშვილია, რომლებიც ყოველთვიურ საწარმოო დავალებებს 115-120 პროცენტით ასრულებენ. ისინი თავდადებით შრომობენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს ბრიგადის წევრები კარგი საჩუქრით შეხვდნენ — გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 11.000 წყვილი ქალის წინდა.

ს უ რ ა თ ზ ე: ბრიგადის წევრები მუშაობის პროცესში.

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.



ბორის ძნელაძის ძეგლი

# სახელოვანი 50 წელი

საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ესაა ახალი, სოციალისტური ცხოვრების გამარჯვებისა და დამკვიდრებისათვის ჩვენი რესპუბლიკის ქალიშვილებისა და ჭაბუკების გმირული შემართებისა და ბრძოლის მატიანე.

20-იან წლებში შეიქმნა საქართველოში ახალგაზრდული ორგანიზაციები, მოსწავლე ახალგაზრდობის კომიტეტები და მარქსისტული წრეები. ამ წრეებში რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა იმაღლებდა კლასობრივ თვითშეგნებას, ეუფლებოდა სოციალ-დემოკრატიულ იდეებსა და მარქსისტულ თეორიას.

1917 წლის აგვისტოში პარტიის თბილისის კომიტეტის მითითებითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა „საინიციატივო ჯგუფი“, რომელსაც დაევალა თბილისის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის საერთო კრების მოწვევა და მისი ორგანიზაციული გაფორმება.

ერთი თვის შემდეგ კი დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა ახალგაზრდა სოციალ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია — „სპარტაკი“.

„სპარტაკელები“ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკების წინააღმდეგ მიმართული მიტინგებისა და კრებების მოწყობაში, მოსწავლე და მუშა-ახალგაზრდობისათვის ატარებდნენ ლექციებს, ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ მოწოდებებს.

1919 წელს ჩატარდა „სპარტაკის“ თბილისის ორგანიზაციის პირველი საერთო-საქალაქო კონფერენცია, რომელმაც აირჩია კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტი საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის ბორის ძნელაძის ხელმძღვანელობით.

ქართველი ახალგაზრდობის ცხოვრებასა და საქმიანობაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მესამე ყრილობამ. ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ნათლად განსაზღვრა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ძირითადი ამოცანები და მისი სამოქმედო პროგრამა.

ქართველი ქალიშვილებისა და ჭაბუკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით განახორციელეს ბელადის მითითებანი: ახალგაზრდობა აქტიურად იბრძოდა სოციალისტურ საფუძვლებზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის, მათი მარჯვენის ძალა გამოსცადა ზაჰესმა, რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის ობიექტებმა, კოლხეთის ჭაობებმა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოვიდა ქალი. იგი უფლებრივად პირველად გახდა მამაკაცის თანაბარი მოქალაქე. ჩვენთვის საამაყოა, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ბევრ თაოსნობას სათავეში ედგნენ ქართველი ქალიშვილები, მათ არა ერთხელ ასახელეს კომკავშირი დაუღალავი შრომით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისია გავიხსენოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში ჩვენი ქალების საქმიანობა. ისინი აქტიურად მონაწილეობენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლების, მუშათა ფაკულტეტების შექმნაში.

30-იან წლებში საქართველოს კომკავშირმა ბევრი გააკეთა სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლისათვის. ყველასათვის ცნობილია სტახანოვური მოძრაობის პიონერის, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მქსოველის მ. ბენდელიანის საქმიანობა. მას მხარს უმშვენებდნენ მსუბუქი მრეწველობის სხვა მუშებიც: ს. ხობუა, ო. გელენიძე, ნ. კანდელაკი...

კომკავშირელების, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო თვისებები, მათი პატრიოტიზმი, მხურვალე სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი მთელი სისრულით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის დღეებში.

საბჭოთა ახალგაზრდობამ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ გამართულ სასტიკ ბრძოლებში მამაცობისა და შეუპოვრობის საარაკო მაგალითები უჩვენა. ჩვენი ხალხი ამაყობს თავისი გმირი ახალგაზრდობით, ჩვენ ვამაყობთ შოთა გამცემლიძისა და გრიგოლ სხულუხიას, ჰიჰიკო ბენდელიანისა და დავით ჯაბიძის, ისრაფილ ჰინჭარაძისა და ვლადიმერ ლურსმანაშვილის და სხვა გმირთა სახელებით, რომლებსაც სამამულო ომში გამოჩენილი მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდებანი მიენიჭათ.

ჩვენი კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისათვის სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის სიმბოლოდ იქცა ქართველი ქალიშვილების — ზოია რუხაძისა და თინა იოსებიძის სახელები.

არც ზურგში დარჩენილ ქალიშვილებს შეურცხვენიათ თავი. რესპუბლიკის მძიმე და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ფრონტზე წასული მამები, ქმრები, ძმები ქალებმა შეცვალეს. დაიწყო საწარმოო გეგმების „ორასოვანთა“ და „მრავალასოვანთა“ მოძრაობა.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ქალიშვილებმა მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის ყველა ახალგაზრდას, რომ სამუშაოდან თავისუფალ საათებში შეესწავლათ ზეინკლის, ხარატის, მღარავის, მქსოველის, ელექტრომონტიორისა და სხვა სპეციალობები, შეეცვალათ ფრონტზე წასული მამაკაცები, უზრუნველეყოთ წარმოება მუშა-ხელით, ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება. ამ მოწოდებას ჩვეული ერთსულოვნებით გამოეხმაურნენ ქუთაისისა და ტყიბულის, ჭიათურისა და ტყვარჩელის, ბათუმისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების კომკავშირელები და ახალგაზრდები.

ომისშემდგომ წლებში ქალიშვილები და ჭაბუკები იყვნენ პარტიისა და მთავრობის აქტიური თანაშემწენი ქალაქებისა და სოფლების აღდგენის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის საფუძვლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

მკლავმოუღლელი შრომის შესანიშნავ მაგალითებს გვიჩვენებდნენ და გვიჩვენებენ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მეჩაიეები, მევენახეები, მებაღეები, მეცხოველეები, მეფოლადეები, მანქანათმშენებლები და სხვა პროფესიის ახალგაზრდები. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის და საკავშირო კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის მზადების პერიოდი გადაიქცა რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისათვის დიადი თაოსნობის, დიდმნიშვნელოვანი საქმეებისა და წამოწყებების პერიოდად.

„არც ერთი ჩამორჩენილი კოლექტივში!“, „ყველა — მოწინავეთა დონეზე!“ „ვიმუშაოთ მომჭირნედ და უდანაკარგოდ!“ — და მრავალი სხვა საინტერესო წამოწყების თაოსნები გახდნენ რესპუბლიკის მოწინავე ახალგაზრდები. შესანიშნავი ინიციატივით გამოვიდა თბილისის ფაბრიკა „კრწანისის“ საკავშირო კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც მარინე აბულაძე ხელმძღვანელობს. გოგონებმა იუბილესათვის მზადების დღეები დამკვრელურად გამოაცხადეს და მოუწოდეს თანატოლებს მხარში ამოდგომოდნენ მათ.

იუბილესათვის მზადების დღეებში თავი ისახელა სოფლის ახალგაზრდობამაც. „ვკრიფოთ ყოველგვარ ამინდში, არ დავუშვათ დანაკარგები, გავზარდოთ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა, ავამაღლოთ ყველა მკრეფავის ოსტატობა მოწინავეთა დონემდე, ვიბრძოლოთ ქართული ჩაის მაღალი ხარისხისათვის!“ — ამ დევიზით შრომობდა და შრომობს ჩაის პლანტაციებში 70 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი.

და თუ როგორ აქციეს ახალგაზრდებმა სიტყვა საქმედ, ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენი საამაყო ქალიშვილების: ვინარი სხულუხიას, კლავდია ნაცვალაძის, ქეთევან გოგიტიძის, სვეტლანა ნიკოლაიშვილის, ნათელა გიორგაძის, ლატავრა სკამკოჩაშვილის, თალიკო ლექავას, ლამარა ჩხაიძის, შუშანა დარჩიას და სხვათა შრომა. დღეს მრავალი მათგანის გულმკერდს მთავრობის მაღალი ჯილდო ამშვენებს.

რესპუბლიკის ბევრ კომკავშირულ ორგანიზაციაში დამკვიდრდა ყველა ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროფესიაში კონკურსების ჩატარება. ეს კონკურსები ოსტატობის სრულყოფის საუკეთესო ფორმასთან ერთად სპეციალობათა მასობრივი პროპაგანდის საუკეთესო საშუალებად იქცა.

წლევანდელი წელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის წელი, განსაკუთრებით პასუხსაგები და დიდი შემოქმედებითი საქმეებით მდიდარი წელია მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის, ჩვენი კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისათვის.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ქართველმა ხალხმა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად ზეიმით აღნიშნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღებისათვის მზადებამ მოიცვა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი, ყოველი ქალიშვილი და ჭაბუკი, გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმის საქმეში დიდი როლი შეასრულა საკავშირო კომკავშირის XVI ყრილობის დელეგატების, სოციალისტური შრომის გმირების, ლენინის ორდენოსნების, წარმოების ნოვატორების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლების, გამოჩენილი სპორტსმენების მიმართვამ რესპუბლიკის ყველა ახალგაზრდისადმი.

მოწოდებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა: საწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიურობისა და ყაირათიანობისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, პროფესიული დაოსტატებისა და სრულყოფისათვის, პოლიტიკური, სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის დაუფლებისათვის, წარჩინებული სწავლისათვის.

წინასაყრილობო და წინასაიუბილეო პერიოდში რესპუბლიკის ახალგაზრდობის პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის შედეგია, რომ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა 240 ათასზე მეტმა ახალგაზრდა მუშამ და კოლმეურნემ წარმატებით დაასრულეს, ხოლო 16 ათასზე მეტმა კი ვადაზე ადრე შეასრულეს მერვე ხუთწლედის გეგმა.

წარმატებით შეხვდა ამ თარიღებს სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა. ქვეყანას სჭირდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ვისწავლოთ წარჩინებით! — აი დევიზი რესპუბლიკის სტუდენტი ახალგაზრდობისა. 4.000 სტუდენტი მონაწილეობს მესამე „შრომით სემესტრში“ — ბევრი კლუბი და სკოლა, ფერმა და სამრეწველო ობიექტი აშენდა ქართველი სტუდენტების დაუღალავი ხელით.

„იყავ ერთგული შენი ხალხისა და ქვეყნისა, მხარი უსწორე შენს მეგობარსა და ხელმძღვანელს — კომკავშირს, წარჩინებული სწავლით შეეგებე საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს!“ — აი საქართველოს ნახევარმილიონიანი პიონერული ორგანიზაციის მოწოდება. დღეს მოსწავლე ახალგაზრდობა კარგი სწავლითა და ველ-მინდვრებში და საწარმოებში, უფროსების მხარდამხარ ბეჯითი შრომით მონაწილეობს საერთო ამოცანის განხორციელებაში.

საიუბილეოდ ფართოდ გაქანება ჰპოვა მოძრაობამ ტექნიკური პროფესიების დაუფლებისათვის. რესპუბლიკაში შეიქმნა 400-მდე წრე და სკოლა, რომლებშიც სხვადასხვა სპეციალობებს ეუფლება 4 ათასზე მეტი ახალგაზრდა.

საქართველოს ახალგაზრდობა საქმიანად

გამოეხმაურა ლიპეცკის ოლქის დოლგორუკოვის რაიონის კომკავშირელთა წამოწყებას — აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის ტექნიკური პროგრესის ამაღლების საქმეში.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მეცხოველეობის აღმავლობის საქმეს, სახელდობრ, მეცხოველეობის ფერმების ახალგაზრდა კადრებით დაკომპლექტებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს საიუბილეო თარიღების ღირსეულად შეხვედრისათვის მზადების პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის ქალიშვილებისა და ჭაბუკების საქმიანობას განსაკუთრებული აზრი და შინაარსი მისცა საკავშირო ჩათვლამ — „ჩვენ ლენინისა და პარტიის საქმის ერთგულნი ვართ".

ჩათვლის შემაჯამებელ კრებებზე კომკავშირელები თავიანთი კოლექტივების წინაშე წარსდგნენ სკკპ XXIV ყრილობის შესახვედრად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ანგარიშით. კრებები გადაიქცა ჩვენი მიღწევების, ახალგაზრდობის საქმეების დათვალიერებად, მან ცხადჰყო, რომ რესპუბლიკის ყოველი ქალიშვილი, ყოველი ჭაბუკი ლენინის საქმის, პარტიის საქმის ერთგულია.

წინასაყრილობო და წინასაიუბილეო პერიოდში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით სტარტი მიეცა დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობათა ახალგაზრდობის შრომით ესტაფეტას, რომელიც 30-იანი წლების ახალგაზრდობის შრომითი გმირობის ადგილზე — ზაჰესში დაიწყო და გადაეცა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოწინავე საწარმოსა და დაწესებულებას.

უკვე კარგა ხანია ჩვენი ახალგაზრდობის საქმიანობაში დამკვიდრდა ტრადიცია — ლაშქრობების მოწყობა საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში. ეს ლაშქრობანი კომკავშირულ ორგანიზაციებს ეხმარება აღზარდონ ახალგაზრდა თაობა ჩვენი ხალხის საუკეთესო ტრადიციებზე, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

სკკპ XXIV ყრილობამ ახალი ამოცანები დაუსახა კომკავშირს, მთელ ახალგაზრდობას.

უკან დარჩა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის ნახევარი და თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდების საქმიანობას, ნათელი გახდება, რომ ისინი ჩვეული ენერგიით, მონდომებითა და ენთუზიაზმით იბრძვიან განახორციელონ პარტიის მითითებები და ახალ-ახალი წარმატებებით აღნიშნონ თავიანთი სახელოვანი იუბილე — საქართველოს კომკავშირის 50 წელი.

**ნათელა ლალიძე,**

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.**



# ხუთი დღის ნორმა-ოთხ დღეში

**— შრომის მადლზე მოგახსენებთ, რომელმაც დღევანდელი დღე მომიპოვა და სამომავლოდ დიდი რწმენა, უფრო მეტის გაკეთების სურვილი მარგუნა. ალბათ, როგორც ახალგაზრდობის უმრავლესობას, მეც უმაღლეს განათლებაზე მიოცნებია და არა მუშის პროფესიაზე, მაგრამ სადღეისოდ მძახაობა იმდენად პასუხსაგებ, იმდენად ჯანსაღ სპეციალობად მიმაჩნია, მადლიერების მეტი არაფერი მეთქმის, — დარბაისლურად საუბრობს ახალგაზრდა გმირი ქალი, შრომაში გაზრდილ-გამოწრთობილი.**

**შვიდი წლის წამოიყვანა იგი რუსთავში უფროსმა ძმამ დუშეთის რაიონის სოფელ ხორხიდან. ქალაქი სრულიად ახალგაზრდა იყო მაშინ და მის შენებას მუყაითი მარჯვენა სჭირდებოდა. ძმამ მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა, გოგონა სწავლობდა და დედას ეხმარებოდა. შემდეგ სკოლა დაამთავრა და ოჯახსაც მოეკიდა. მოვალეობამ უმაღლეს სასწავლებლის ნაცვლად ბამბეულის საქსოვ ფაბრიკაში მიიყვანა. შრომა-გარჯას მიჩვეული იყო და მალე მოიხვეჭა პატიოსანი, გამრჯე მქსოველის სახელი და თავისი მასწავლებლის ვალენტინა სმეტანინას ქება დაიმსახურა. ფაბრიკიდან რუსთავის ქიმიური ბოჭკოების ქარხანაში გადაიყვანეს.**

**— როგორ გავხდი გმირი? ვერაფერს ვიტყვი. იმდენად მოულოდნელი იყო ასეთი დაფასება ჩემი შრომა-გარჯისა, რომ ცოტა არ იყოს, დაბნეულიც კი ვარ სიხარულისაგან, უფრო მეტად მოვალეობისაგან, რომელიც ამ წოდებამ მაკისრა. შრომა ხომ ჩემი ვალია. აბა, მეტი რა უნდა ვაკეთო! ამიტომაც ვმუშაობდი იმდენს, რამდენსაც მარჯვენა გასწვდებოდა, ვმუშაობდი სურვილით, როგორმე თავი არ შემერცხვინა და ხალხისათვის რაიმე მერგო. მაგრამ სხვებიც ხომ ასე არიან, სხვებიც ამ შეგნებით მუშაობენ, ჩემივე თანატოლები, ჩემივე გვერდით.**

**მაშ, რაღა მაინცდამაინც ელენე გახდა გამორჩეული?**

**— სრულიად უბრალო შემთხვევის გამო, — ასე ამბობს თვითონ.**

**მეგობარი შვებულებაში წასულა და მუშახელის უკმარისობის მიზეზით თვითონ განუზრახავს ორი საქმის კეთება — სასხვისოც და სათავისოც. სამოცდათორმეტთითისტარიან საგრეხ-გამჭიმ მანქანას დასტრიალებდა და მისი მარჯვენა სამოცდათორმეტივეს გასწვდა. ცხადი გახდა, რომ შეძლებულა ორი კაცის ერთით შეცვლა. და აი, უკვე ორი წელია ახალგაზრდა მძახავის ელენე კოწიწაშვილის მეთოდი დაინერგა კიდეც საწარმოში — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში.**

**— როგორც უკვე მოგახსენეთ, დამწყები რატომღაც მე გამოვედი, თორემ მიმდევარი იმდენი გამომიჩნდა გალინა ქარჩავას, ვენერა მუშკუდიანის, ნინა შაბლოს, მარიამ მაშკანოვას, მარო მაისურაძისა და სხვათა სახით, რომ დარწმუნებული ვარ, ჩემს ადგილზე ისინიც თავისუფლად მოახერხებდნენ წამომწყების სახელი დაემკვიდრებიათ.**

**წლეულს აპრილის ოცდაცხრაში მიეკუთვნა სოციალისტური შრომის გმირის წოდება ელენე კოწიწაშვილს, კომკავშირის 50 წლის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრს, ბრიგადისა, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი იაშა ბუთურაშვილი ხელმძღვანელობს. ის ერთადერთი გმირი გახლავთ ქარხანაში და ბუნებრივია, საპატიო წოდება დიდი შრომის, განსაკუთრებული გულისყურისა და პასუხისმგებლობის გრძნობის შედეგად მოიპოვა. მისი წარმატებების მოკლე ნუსხა ასეთია: ყოველთვიურ გეგმას 160-180 პროცენტით ასრულებს, ხშირად — 200-თაც. წინა ხუთწლედის გეგმა სამ წელიწადში შეასრულა და განსაკუთრებული შედეგების გამო სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საპატიო წიგნში შეტანის ღირსი გახდა. მისი ახალი ვალდებულებაა: ოთხ წელიწადში შეასრულოს ხუთწლედის გეგმა, ხუთი დღის ნორმა კი — ოთხ დღეში, გეგმის გადამეტებით 65 ტონა ნედლეული მისცეს საწარმოს, კომკავშირის საიუბილეოდ 24 ტონა ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს.**

**მთელი საწარმო ამაყობს ახალგაზრდა ქალის წარმატებებით, განსაკუთრებით კი — მისი მასწავლებელი ვალია ლამჩონოვა, რომელმაც თბილისში ეთერ სოლომონია გამოზარდა, რუსთავში — ელენე კოწიწაშვილი. ელენეს ფასი იციან და ეიმედებათ. დიდ საქმეებს ანდობენ და ისიც ცდილობს ყველაფერს გასწვდეს: ქარხანას, ოჯახს, საზოგადოებრივ საქმეს. არის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი... შრომის მადლი ყველგან დაჰყვება და ყველგან მისეულ კვალსა სტოვებს.**

თიურა ვაშაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ილუსტრაცია კონსტანტინე გამსახურდიას რომანისათვის „დიდოსტატის მარჯვენა".
მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კონსტანტინე გამსახურდია

მხატვარი ვ. გულისაშვილი

(ნაწყვეტი რომანიდან „მთვარის მოტაცება“)

ერთი უცნაური სიმღერა გამიგონია აფხაზეთში. ვაჰრადას არა ჰგავს იგი ყრუანტელის მომგვრელს, არც ახრააშვს, დაკოდილს რომ უმღერებენ, მოსალბუნე სინაზით სავსეს, ჩონგურის მონოტონურ ჟღარუნში არეულს. არც აზარს, თარჩიას დროს შესაძახებელს, დიაცური, ამაზრზენი კივილით რომ გამოუდგებიან წითელპერანგიან ვაჟს, ჩაბალახით წელგაკრულს, შავჩოხიანი ცხენოსნები.

არც იმას, მარულას დაწყებისას ნაბდით შებურვილ ცხენს რომ ეტყვიან აფხაზები ზარითა და დამბაჩების სროლით.

არა, სულ სხვაა ეს ღამეული მგზავრული.

ერგეაშვას უწოდებენ მას.

ერგეაშვას მგრგვინავი, ვაჟკაცური ხმით მღერიან.

მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წყალშიგაჭირვებულთა გასაგონად.

მიდის ჩაბალახით თავგაკრული აფხაზი ვაჟკაცი; ალერსიანად უტატუნებს აჩიგვარას მათრახს თავის ტანმორჩილ ცხენს. ღამით თვალი უჭრის. გრიგალის არ ერიდება, ყინვის არ ეშინია, ნაბადი განზე მოუგდია.

ფოცხვერების ჩხავილს არად აგდებს, არც ნაზამთრალი მგლის შეყმუვლებას ბნელ გორმახებზე.

მიდის უშიშარი და შეუპოვარი აფსუა, ომახიანი ხმით მიიმღერის.

დეე, გაიგონოს მისი ხმა, მგზავრმა ღამეულმა, სხვის მიწიდან გადმოსულმა, გზასაცდენილმა და უბინადრომ, კარგმა ვაჟკაცმა კარგ ცხენზე მჯდარმა, გაჭენებული ცხენიდან მათრახის ენას რომ გახვრეტს, ხანჯლის პირს ტყვიას რომ შეაჭრის და ცხენს იმ სიმაღლეზე გადაახტუნებს, უნგრეთის კავალერიას არცკი ზმანებოდეს.

დღისით მზისით მტერს და განსაცდელს არ შეეპუება, მაგრამ თუ გზა ვერ გაიფონა და მეგზურიც ვერ იპოვნა, რა უყოს მაშინ კარგმა მამაცმაც ღამეს (და არსად ისეთი ბნელი ღამე არ იცის, როგორც აფხაზეთში, სადაც ბუნებას სუბტროპიკული ძილი ეუფლება).

სწორედ ამ სიმღერას მღეროდა ოქუმიდან ზუგდიდს მიმავალი კაც ზვამბაია თავის ჩერქეზულ ჭაკზე იმედიანად მჯდარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ႣႨႣႭႱႲႠႲႨႱ ႣႨႣႭႱႲႠႲႨ

გაგონდებათ?

თბილისიდან მცხეთისაკენ — საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთი მთავარი შუაგულისაკენ — ახალგაზრდა მხედარი მიაგელვებს მშვენიერ ბედაურს — დარდიმანდს. სრბოლის ჟინით ატანილი, გაფიცხებული ბედაური დროდადრო ფრთხება და თავს ართმევს მხედარს. მაგრამ ნაცადი მხედარი არ დრკება; ეს დაუოკებელი ნავარდი და ქროლვა კიდევაც ესალბუნება მის მღელვარე გულსა და აბობოქრებულ სულს.

დაახლოებით ასეთი ექსპრესიული სურათით იწყება „დიდოსტატის მარჯვენა". მხედარი ამ ბრწყინვალე ნაწარმოების ავტორია. განა რასმეს გაურბის იგი? არა. ეს არის, ასე ვთქვათ, ერთგვარი რომანტიკული გაჭრა დღევანდელობიდან ისტორიისაკენ, გაჭრა იმისათვის, რომ წარსულის გმირული და ტრაგიკული სული შემოიყვანოს დღევანდელობაში. ხალხის ისტორია ხომ ცოცხალი ეროვნული არსების განუკვეთელი ნაწილია და მის მოწყვეტას ერის დღევანდელობისაგან, ალბათ, ამ არსების რაღაცნაირ დახეიბრებად მიიჩნევდა დიდი მწერალი.

ასე მგონია, იმ ბედაურის თავგამეტებული ჭენება სიმბოლურად ქართველი კაცის სულის სწრაფვასაც ასახიერებს და რაღაცათი თვით მხედრის — კონსტანტინე გამსახურდიას დიდ შემოქმედებითს შემართებასაც მოგვაგონებს.

დიდი მხატვრული ტალანტი, რასაკვირველია, იშვიათობაა, უნიკალური მოვლენაა. მაგრამ იგი, როგორც თვით კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა ხოლმე, წილნაყარია თავისი ხალხის უკვდავ სულთან. თავისი ხალხისათვის საამაყოც სწორედ მით არის, რომ იგი მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. ბუნებაში ბევრი რამ არის დიდებული და უნიკალური, მაგრამ ისინი არავის არ შეიძლება ეამაყებოდეს. მაგალითად შესატყვის გეოგრაფიულ ზონებში მოსახლე ადამიანთა ტომებს არავითარი საფუძველი არა აქვთ იამაყონ, ვთქვათ ევერესტით, ალპებით ან კავკასიონის მწვერვალებით. ეს მწვერვალები ბუნების სტიქიური ძალების ნახელავია და მათს დიდებულებაში ადამიანებს წილი არ უდევთ. ადამიანებს კი გვეამაყება ის სიკეთე, რაშიაც წილი გვიდევს და რაშიაც ჩვენი სულის ნაწილია გადასული.

ქართველ ხალხს მის სხვა სახელოვან შვილებთან ერთად ეამაყება კონსტანტინე გამსახურდიაც, რადგან მის დიდ ტალანტში, თუ შეიძლება ასე ითქვას, შენივთებულია ქართველი ხალხის სულიერი გენები...

სწორედ თავისი ეროვნული გზნებითა და ტემპერამენტით, თავისი დიდი შემოქმედებითი ღონითა და ფრთაასხმული ფანტაზიით შეიჭრა იგი ისტორიული მასალების, ისტორიული გადმოცემებისა და ლეგენდების სიღრმეში, რათა დიადი წარსულის სული გამოეხმო და შეექმნა თავისი უჭკნობი „დიდოსტატის მარჯვენა" — ნაწარმოები, რომელიც, როგორც სიტყვიერი ხელოვნების შესანიშნავი ქმნილება, გარკვეული მნიშვნელობით გვერდში ამოუდგა თვით დიდებულ სვეტიცხოველს. იგი ისევე გაუძლებს და შეეტოქება ჟამთასვლას, როგორც სვეტიცხოველი ეტოქებოდა და ეტოქება მას საუკუნეების მანძილზე (მწერალიც ხომ ცამდე მართალია, უკვდავების საუფლოდ რომ შემოქმედებას და მხოლოდ შემოქმედებას მიიჩნევს).

ამ ისტორიული რომანის ძირითადი თემა — თემა შემოქმედისა და შემოქმედებითი შრომის ბედისა სოციალური ძალმომრეობისა და ტირანიის პირობებში — მხოლოდ შორეულ წარსულს როდი განეკუთვნება.

თავის უკეთეს გრძნობებსა და განზრახვებში შებორკილი და შეურაცყოფილი ხელოვანის ტანჯვა რომანში უმაღლეს კაცობრიულ ტრაგიზმამდეა აყვანილი, რაც შეიძლება ყველა დროისა და ეპოქის შემოქმედებითი სულისა და ტირანიის შეუთავსებლობასა და შეურიგებლობას შეესაბამოს. ამ დიდი მხატვრული განზოგადების წინაშე, რასაკვირველია, აზრის უსუსურობა და ხელოვნების არსის შეუგნებლობა იქნებოდა საკითხის დასმა: შეესაბამება თუ არა მხატვრული ფაქტი ისტორიულ სინამდვილეს; მართლაც მოჭკვეთეს ხელი სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარს და ეს მოკვეთილი ხელი მართლაც გამოსახეს ქრისტიანული ტაძრის კედელზე?

ძველი, გაუცვეთელი ჭეშმარიტებაა: მხატვრული ლიტერატურის დიდი ნაწარმოები უმალ შესაძლებლის აღმოჩენაა, ვიდრე მომხდარი ფაქტის პირდაპირი გადმოწერა.

ეჭვი არ არის, რომ „დიდოსტატის" ბედს გაიზიარებს მწერლის სხვა ნაწარმოებებიც — „მთვარის მოტაცებაც", „დავით აღმაშენებელიც", „ხოგაის მინდიაც" და ბევრი შესანიშნავი ნოველაც. ეს ნაწარმოებები, როგორც იტყვიან ხოლმე, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში შედის. მათ დიდად, ძალიან დიდად გააფართოვეს ქართული ლიტერატურის ესთეტიკურ-ინტელექტუალური თვალსაწიერი, აამაღლეს ქართული მხატვრული აზრის დონე. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მწერლის ვრცელსა და ნაყოფიერ შემოქმედებაში ყველაფერი თანაბარი ძალისა და თანაბარი ბრწყინვალებისაა. მეტნაკლები შემოქმედებითი აღმართ-დაღმართი, როგორც ჩანს, არც დიდი მხატვრისათვის არის უცხო. თანაც ცნობილია, რომ მწერალმა ცხოვრებისა და შემოქმედების ერთობ რთული, ძნელი და წინააღმდეგობრივი გზა განვლო. მაგრამ ბედთან და სიტყვასთან ჭიდილში მწერალს ყოველთვის ახასიათებდა ნამდვილი რაინდული სულიერი სტოიციზმი.

კონსტანტინე გამსახურდია მძაფრი რეალისტური ხედვისა და გზნების შემოქმედია. მის ეპოქალურ ნაწარმოებში „მთვარის მოტაცებაში" ვრცლად და ცხოვლად აისახა ჩვენი საუკუნის ოციან-ოცდაათიანი წლების საქართველოს სინამდვილეში მომხდარი საზოგადოებრივი ძვრები და წინააღმდეგობანი. უდიდეს მხატვრულ-ესთეტიკურ ღირსებებთან ერთად ამ ნაწარმოებს საკმაოდ დიდი შემეცნებითი ღირებულებაც აქვს. ნამდვილ ესთეტიკურ კმაყოფილებასთან ერთად მკითხველს ამ ნაწარმოებში ყოველთვის შეუძლია ამოიკითხოს თვით ეპოქა, მიიღოს საკმაოდ უხვი ინფორმაცია ამ ეპოქის მოვლენების შესახებ. ნაწარმოები მკითხველის სულსა და გულს იპყრობს უცდომელი დაკვირვებით აღმოჩენილი და შესანიშნავი ოსტატობით გამოძერწილი ტიპიური მხატვრული სახეებით. ნაწარმოებში, ამრიგად, საქმე გვაქვს არა მარტო შემოქმედის განწყობილების, მისი სუბიექტური მიდრეკილებისა და მისწრაფებების მხატვრულ განსხეულებასთან, არამედ უმთავრესად თვით გარემომცველი სინამდვილის მართალ და დიდებულ სურათებთან. განსაცვიფრებელია ამ სურათების შესრულების ოსტატობა. ამავე დროს მწერლის შემოქმედებაში ძლიერია თავისებური რომანტიკული ნაკადიც — შემოქმედის მდიდარი შინაგანი სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური უკუფენა. თითქმის ყოველთვის დიდი ემოციური ენერგიითაა დამუხტული მწერლის ხილვები და წარმოსახვები, სენტენციები და ლირიკული აღსარებები. ზოგჯერ მწერალი პირდაპირ და გამომჟღავნებულადაც კი ერევა თავისი ნაწარმოების მოქმედებაში, თავისი პერსონაჟების ურთიერთობაში. გაიხსენეთ მისი შეხვედრა თავისავე პერსონაჟებთან „მთვარის მოტაცებასა" და „ვაზის ყვავილობაში". ამ საგულისხმო მხატვრული ხერხით, რაც ამბავთა ლაღ, ეპიურ მდინარებას ნაკლებად არღვევს, მწერალს განსაკუთრებული ინტიმური სითბო და ლირიკული მღელვარება შეაქვს თავის ქმნილებებში; ამავე დროს ამით იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ცხადჰყოფს და ადასტურებს თავის სისხლხორცეულ კავშირს იმ ცხოვრებასთან, იმ ბუნებასთან, იმ ადამიანებთან, რომელთაც ხატავს.

კონსტანტინე გამსახურდიას მიერ შექმნილ სახეებსა და სურათებს თვალნათლივ ხედავთ, გრძნობთ მათ საგნობრივობას, ხორციელობას, ჟღერადობას, გხიბლავთ მათი სკულპტურული გამოკვეთილობა, გაოცებთ მათი ფერწერულობა. მწერალს თითქმის ერთნაირი ძალით ემარჯვება თავისი უამრავი პერსონაჟის როგორც სახობრივი, ისე ფსიქოლოგიური პორტრეტების ხატვა, ბუნების წარმტაცი სურათების გამოსახვა მეტყველი ინტესიური ფერებით.

იმ უმდიდრეს პალიტრაზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც მწერალს თავისი მამაკაცი-პერსონაჟების უაღრესად ინდივიდუალიზირებული სახეების დასახატავად გააჩნია, იგი ქალის ბუნების, უკეთ ვთქვათ, ქალური სამყაროს ულრმესი მცოდნე და მესაიდუმლეა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ შექმნილი ქალთა უკეთესი სახეები — შორენა, დედისიმედი, თამარ შერვაშიძე და ბევრი სხვა — თავიანთი მომხიბვლელი მარადიული ქალურობითა და განუმეორებელი მშვენიერებით — ღირსეულად ამოუდგებიან გვერდში ქალთა დასამახსოვრებელ სახეებს მთელს თანამედროვე ლიტერატურაში.

ო, როგორ ვისურვებდით, რომ ჯერ კიდევ შეუსრულებელი რომანი „თამარ“ ჩვეული ოსტატობით შესრულდებოდეს და მხატვრულად ხორცშესხმული, ხელოვნებით უკვდავქმნილი „ქართველთა დედა“ დაამშვენებდეს მწერლის შესანიშნავ ქალთა კრებულს.

რა ვუყოთ, რომ მწერალს 80 წელი შეუსრულდა. ეს ხომ თვალის ერთი დაფახულებაა მისი ქმნილებების დღეგრძელობასთან შედარებით... მაინც, რა საოცარი გათიშულობაა ხელოვანის სიცოცხლესა და ხელოვნების დღეგრძელობას შორის!..

შესაძლოა, მხცოვანი მწერალი კვლავინდებურად ველარ ამხედრდეს ფეხმარდ ბედაურზე, — წლებს თავისი მიაქვს, მაგრამ თავისი „ვოლგით“ მაინც შესძლებს გავარდეს გზებზე, გაიჭრას ბუნებაში, რათა ახალ-ახალი შთაბეჭდილებები დააგროვოს.

საქართველოს სჭირდებოდა და კვლავაც სჭირდება მისი სიცოცხლეც, მისი მოუღლელი კალამიც და მისი სახელიც.

დიდი შემოქმედის სახელიც კარგად „მუშაობს“.

ამას წინათ სომხეთში მითანამგზავრა ერთმა ჩემმა ახლობელმა კაცმა. იქ რამდენიმე სომეხ ქალსა და კაცს შევხვდი. ისინი არც მწერლები იყვნენ, არც მხატვრები, არც მსახიობები. უბრალოდ ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ: საბჭოთა მუშაკები, დიასახლისები, სტუდენტები. კარგად გვიმასპინძლეს. საუბარში ისინი ხშირად გვიხსენებდნენ ჩვენს დიდ ადამიანებს, დიდ მწერლებს, მათ შორის რასაკვირველია, გამსახურდიას. ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ქალმა გამსახურდიას გმირებზედაც კი ჩამოგვიგდო სიტყვა; ბოლოს სთქვა: — ეს მწერალი ჩვენ ძალიან გვიყვარსო.

ვატყობდი, ამით მასპინძლებს ჩვენი გულების უფრო მეტი დაძმობილება სწადდათ.

სახელი — გამსახურდია — გულთა კავშირის სიმბოლოდ ჟღერდა იქ ჩვენს შორის.

მრავალჟამიერ დიდოსტატის დიდოსტატს!

ლავროსი კალანდაძე

# მრავალ ვაზის ყვავილობას!

იშვიათად თუ მოუმკია მწერალს ესოდენ დიდი სიყვარული თავის მკითხველებში. კონსტანტინე გამსახურდიას წიგნები ყოველი ქართველის საკუთრება და განძია. მის რომანებს გატაცებით კითხულობენ და ხშირად ლექსივით იზეპირებენ. ყველას აქვს თავისი საყვარელი წიგნი: ვინ „მთვარის მოტაცების“ მოტრფიალეა, ვინ „დიდოსტატის მარჯვენის“ თაყვანისმცემელი, ვინ „დავით აღმაშენებლითაა“ შთაგონებული... მწერლის თაყვანისმცემელთა შორის ქართველ მევენახეებსაც უჭირავთ ერთი უპირველესი ადგილი. ჩვენმა რედაქციამ გადაწყვიტა, კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეო დღეებში ქართველ მევენახე ქალებს გასაუბრებოდა, გაეგო მათი აზრი მწერლის ცნობილი ნაწარმოების — „ვაზის ყვავილობის“ შესახებ.

და, აი, ჩვენი კორესპონდენტი ეწვია თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადის ქალებს: ეკატერინე ქევხიშვილი, ივლიტა ჭურღულაშვილი, ფენია მჭედლიშვილი, გულიკო ქევხიშვილი, ნუნუ შოშიაშვილი, ელიზა ხატიაშვილი, ნანი დევიძე, მარინე დაისიანცი—აი, ადამიანები, რომელთაც უყვართ ვაზი, ესმით ვაზის ტირილიც და სიხარულიც, მისი ყვავილობა და მისი ბარაქა, ისინი ხალისით ჩაებნენ საუბარში, გაიხსენეს მრავალი ადგილი „ვაზის ყვავილობიდან“ და დასასრულ 80 წლის მწერალს მრავალი სიკეთე უსურვეს.

ალბათ, დაგაინტერესებთ მევენახე ქალთა შეხედულება ამ რომანის შესახებ. აი, რა განაცხადა ზოგიერთმა მათგანმა:

ე ლ ი ზ ა  ხ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი:

— მე ჩვენი მწერლის ყველა ნაწარმოები მიყვარს, ან როგორ შეიძლება რომელიმე გამოარჩიო, მაგრამ როდესაც ვენახში ვარ და ვაზის გარშემო ვფუსფუსებ, მუდამ თვალწინ მიდგას მწერლის „ვაზის ყვავილობა“ და ასე მგონია, ეს ჰიმნი ჩვენ, აი, ამ ბრიგადას უძღვნა-მეთქი, ჩვენს შრომას შესთავაზა-მეთქი. მაგონდება „ვაზის ყვავილობაში“ აღწერილი ერთი ადგილი: ომში წასული ვაჟკაცები, ქალების ანაბარა დარჩენილი სოფლები და საქონელი, ზვრები და მინდვრები... მაისის თვეში მოსული ცერცვისოდენა სეტყვა. ვაზისა და ვარდის ქვეყანა როგორ გაანადგურა თეთრად დაფენილმა სეტყვამ... ვარდების და ვაზების ქვეყანა კი ჩვენი კახეთია; თელავზე წერს და იმ გულნაღვლიან ხალხს თითქოს მუდამ ვხედავ... მიხარია, რომ დღეს ჩვენს ნაშრომს სეტყვა ველარ წალეკავს. სეტყვის მომასწავებელ ღრუბელს ჰაერშივე ვშლით და შხაპუნა წვიმით პირს იბანენ ჩვენი მტევანდაყრილი ვაზები.

ნ ა ნ ი  დ ე ვ ი ძ ე მ კი მეორე ადგილი გაიხსენა:

— როცა ზვრებში სამუშაოდ მივდივარ, მაგონდება ხოლმე ამ დიდი მხატვრის, დიდი მოაზროვნის „ვაზის ყვავილობის“ ის ადგილი, როდესაც ვახტანგ კორინთელის ბინაზე პირველად მოიყვანეს ფეხმძიმე სუსქია. ნიკო ძია სადღეგრძელოს ამბობს, სუსქიას თვით ღმერთების დედოფალს ადარებს და დასძენს: „ — რატომ ერიდებიან პოეტები და მხატვრები ფეხმძიმე ქალის დახატვას და შექებას. ეს ხომ ქალის ცხოვრებაში ისეთი მომენტია როგორც ვარდისა — ვარდობისთვეში, ან ვაზისა, როცა იგი ყვავილობს“...

...და მეც მიყვარს ვაზი, როცა იგი მტევნით სავსეა... ნეტავ პოეტი ვიყო, რომ ეს დიდი სიყვარული ლექსად გამოვთქვა.

იმ დღეს აკურის მევენახეებს თელავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მედეა მეზვრიშვილი ეწვია. მედეა გულმხურვალედ ჩაერია საუბარში.

მ ე დ ე ა  მ ე ზ ვ რ ი შ ვ ი ლ ი: გვარად მეზვრიშვილი ვარ და მჯერა, ჩემი წინაპარი უსათუოდ დიდი ზვრების პატრონი უნდა ყოფილიყო. კახეთში ღვინიაშვილებიც არიან — ესეც ხომ ქართველი კაცისა და ვაზის სიყვარულზე მიგვითითებს. როგორ შეიძლება ქართველ კაცს და, ისიც კახელს, არ უყვარდეს კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, რომელიც საგანგებოდ კახეთს, თელავსა და ყვარელს უძღვნა. მაგრამ მე, როგორც ისტორიკოსი, მაინც „დიდოსტატის მარჯვენას“ ვეთაყვანები. მარად თან დამდევს შორენასა და არსაკიძის საუბარი და გონებაში ვიმეორებ ხოლმე:

„მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შემყვარებია, ჩემო. ამიტომაც განწირული მაქვს თავი.

— მაშ, შენ სიცოცხლე ქვაზე ნაკლებად გყვარებია, უტა?

— განა ქვაა სვეტიცხოველი ჩემო? ქვაყოფილა იგი ამჟამად, უფრო უკვდავი, ვიდრე ასი ათასი მოკვდავის სული“. — აქედან ვგრძნობ, რომ არსაკიძის ბედნიერება მხოლოდ ხელოვნებაშია... მაგრამ არც ადამიანურ გრძნობებისაგან, არც ადამიანური სამყაროსაგან არის მოწყვეტილი. იგი დაკავშირებულია ხალხთან. შორენასთან საუბარში ვგრძნობ მის დიდ სულს ქართველისას: „ხვალ რომ ბერძნები ან სარკინოზები შემოესიონ საქართველოს ციხეებს, მოქანდაკის საჭრეთელს განზე გავაგდებ და ხმლით შევებრძოლებიო მტერს“.

კიდევ ბევრი რამ ითქვა მაგრამ, უპირველესად ამ საუბარში გამოსჭვიოდა ქართველ მევენახე ქალთა დიდი სურვილი: მრავალ ვაზის ყვავილობას დაესწროსო ჩვენი სასიქადულო მწერალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ილუსტრაცია კონსტანტინე გამსახურდიას რომანისათვის „დიდოსტატის მარჯვენა“.
მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმ დღეებიდან-დღემდე



ვინ არ იცნობდა ფოთში საზოგადო მოღვაწე და მწიგნობარ კაცს ვასო ქადეიშვილს. იგი მთელი დღე ჟურნალ-გაზეთების ჯიხურში იჯდა, ღამე კი მის ბინაზე არალეგალური მომუშავეები იყრიდნენ თავს. ბიჭურად თმაშეკრეჭილი პატარა ნინო ამ დროს საგუშაგოზე იდგა, მერე გვიანობამდე ლამფის შუქზე უჯდა წიგნებს.

1914 წელს ნინომ მედალზე დაამთავრა ფოთის ქალთა გიმნაზია და სულ მალე ლენინგრადის ბესტუჟევის სახელობის უმაღლესი კურსების მსმენელი გახდა.

იმ დროს, იქ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი კითხულობდა ლექციებს. ნინო ქადეიშვილმა, თამარ მენაბდემ, მარიამ ლორთქიფანიძემ, ნინო ბარათაშვილმა, ანიკო ცხაკაიამ და სხვებმა მოკრძალებით სთხოვეს ივანე ჯავახიშვილს მათთვისაც წაეკითხა ლექცია საქართველოს ისტორიაში. ქართველ ქალთა განათლების დიდმა პატრიოტმა სიამოვნებით შეასრულა ქალიშვილების თხოვნა.

ალბათ ივანე ჯავახიშვილის დამსახურებაა, რომ ნინომ ასე შეიყვარა ხალხთა ისტორია. ის იყო, უკანასკნელი გამოცდა ჩააბარა, რომ ნევის სანაპიროზე გამარჯვების სალუტი გაისმა. ნინომ მოუსმინა დიდ ლენინს, როცა იგი სამხედრო სასწავლებლის ეზოში გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა. საქართველოში დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნებულმა, ფოთის ინდუსტრიულ ტექნიკუმში დაიწყო მუშაობა ისტორიის მასწავლებლად. შემდეგ იგი ფოთის პარტიულ სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ დანიშნეს.

1924 წლის ოქტომბერში ნინო პარტიის რიგებში შევიდა.

1926-1931 წლებში ნინო ქადეიშვილი ფოთის განათლების განყოფილების გამგედ მუშაობს, შემდეგ თბილისში გადმოჰყავთ და განათლების სამინისტროში სამმართველოს უფროსად ნიშნავენ, თან ასპირანტურაშიც შედის.

1932 წელს ნინო გაიგზავნა სახელმწიფო კონსერვატორიაში პარტიული ორგანიზაციის დასახმარებლად, იქვე კითხულობდა ლექციებს ისტორიაში და ამავე დროს განაგებდა პარტიის ისტორიის კათედრას. წლების მანძილზე ლექციებს კითხულობდა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტშიც...

1933 წელს ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ნინომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარი შეაღო როგორც მასწავლებელმა. ფართო აუდიტორიაში სულგანაბული სტუდენტები ხარბად იჭერდნენ მასწავლებლის ყოველ სიტყვას...

ნინო მარტო ლექციებით როდი კმაყოფილდებოდა. ჩამორჩენილი სტუდენტებისათვის გამოყოფილი ჰქონდა დამატებითი საათები.

მთელი დღის შრომით მოღლილი, გვიან ბრუნდებოდა შინ და ღამეებსაც მუშაობაში ათენებდა.

1940 წელს ნინო ქადეიშვილმა ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. წარმატებამ მეტი შრომის ხალისი შეჰმატა. ახლა უმაღლეს პარტიულ სკოლაშიც მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის მასწავლებლად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის წინაშე დაისვა საკითხი უნივერსიტეტში გახსნილიყო დაუსწრებელი სწავლების განყოფილება.

ისტორიის ფაკულტეტის დეკანად ნინო ქადეიშვილი დაინიშნა. განსაკუთრებული სითბო და ყურადღება სჭირდებოდათ ომგადახდილ ადამიანებს და ნინომ პროფესორმასწავლებლებს სთხოვა დამატებითი კონსულტაციები ჩაეტარებინათ მათთვის. თავად, ზედმიწევნით იცოდა თითოეული სტუდენტის გასაჭირი და მუდამ მზად იყო ყოველგვარი დახმარება გაეწია მისთვის.

ვინ მოსთვლის, რამდენ სტუდენტს გაუწოდა ნინო ქადეიშვილმა დახმარების ხელი. რამდენს გაუყო საკუთარი ულუფა, რამდენმა მის ბინაში გაატარა სტუდენტობა.

ასეა დღესაც.

ნინოს აღზრდილების უმეტესი ნაწილი საპასუხისმგებლო პოსტებზე არიან და რომელსაც არ უნდა ჰკითხო, გიპასუხებს: — თუ რაიმე კარგია ჩემში, ამას ნინო ქადეიშვილს უნდა ვუმადლოდეო.

ნინო დღესაც არ ივიწყებს მათ. თვეში ერთხელ მაინც მოიკითხავს თითოეულს.

არც აღზრდილები ივიწყებენ ნინოს. უგზავნიან მოლოცვისა და მადლობის ბარათებს. თოთხმეტ იანვარს კი, ნინოს ოთახის კედელ-კუთხე სიხარულს ვერ იტევს. მისი ყოფილი სტუდენტები ვალდებულად სთვლიან თავს ნინოობა მიულოცონ მეორე დედას, როგორც მას ეძახიან.

50 წელია ნინო ქადეიშვილი პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა. ყოველ ღონეს ხმარობს თავისი გამოცდილება და ცოდნა მომავალი თაობის სწავლა-განათლების საქმეს მოახმაროს.

ხშირად იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში მისი წერილები.

1961 წელს გამოსცა წიგნი „მეგობრობის დიდი ძალა".

ნინო 70 წლისაა, მაგრამ ისევ ძველებური ენერგიით შედის ლექციებზე. ისევ ისე მისჩერებიან მას სიყვარულით ანთებული თვალები და ფართო აუდიტორიაში სულგანაბული სტუდენტები ხარბად იჭერენ მასწავლებლის ყოველ სიტყვას...

ოლია დადიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნედლი სალამურები



თინა ჩხაიძე

## ბიბლიოთეკაში

ყველგან სხედან,
ჩემს მარცხნივ, გვერდით, უკან.
ჩემგან მარჯვნივ.
ჩემს წინ.
„ბერძნული სახელები, რომლებიც ვოკატივით იწარმოებიან“...
სათაურის ქვემოთ დავწერე მე ეს ხაზი.
ახლა ჩემს სოფელში, ალბათ, თოვლია.
სიჭრელედაკარგული ფოთლები ყრია ჩემი სახლის წინ.
ბუხარში ანთია ცეცხლი.
ჩემს გვერდით წყნარად ზის იგი. მე ვიცი, სრულებით არ ვაინტერესებ მას. წინ უდევს წიგნი, რომელშიც, ალბათ, ამდაგვარი რამ წერია:
„იულიუს კეისარი თრაკიაში“.
ჩემი სახლის გვერდით კი, სოფელში, შიშველი ხეები დგას. ადესის მიმჭკნარი მტევანი ჰკიდია ხის კენწეროზე და ბელურები ისე უყურებენ იმ მტევანს, როგორც ერთადერთ სასოებასა და იმედს. ვინ იცის, იქნებ არც უყურებენ. ეს მე გამოვიგონე, რადგან ახლა უსაქმოდ ვზივარ და აღარ მინდა დავხედო რვეულს, რომელშიც მიწერილია ერთადერთი ხაზი: „ბერძნული სახელები ვოკატივში“.
ჩემს მარჯვნივ ისევ სიწყნარეა. ალბათ, კეისარი თრაკიაში შევიდა უკვე. დაანგრია და მოსრა ქალაქები. ეს იმიტომ, რომ მერე ძლევამოსილი სიამაყით დაწეროს: მოვედი, ვნახე, გავიმარჯვე.
მე არ ვიცი, მართლა კეისარმა დაწერა თუ არა ეს სიტყვები. ეს მან იცის, ვინც ჩემს მარჯვნივ ზის და ერთხელაც არ გამოიხედავს აქეთ.
მე ესეც მოვიგონე მოწყენილობის გამო.
გარეთ ახლა მზეა. ჩემს სოფელში კი უსათუოდ თოვს.
შემოვიდა, ალბათ, ახლა სახლში მამაჩემი და დაკოჟრებული ხელები მიუფიცხა ცეცხლს. ბუხართან თამაშობენ ბავშვები. ახლა, ალბათ, იტყვიან, გაგვიშვითო გარეთ. თოვლია და ბავშვებს უყვართ თოვლში თამაში.
— არაო, — ეტყვიან ბავშვებს.
— გაგვიშვითო, — ყელთან მიაქვს თითი.
— არ გავცივდებითო!
და მერე უშვებენ მათ. ახურავენ თბილ ქუდებს, აცმევენ ჩექმებს და ისე უშვებენ.
მერე გარედან შემოდის მათი ხმაური.
კი, ასეა ახლა ჩემს სოფელში. სიცოცხლეა იქ; აქ კი საოცარი სიმყუდროვეა და ჩემს მარჯვნივ მჯდომი ისევ იულიუს კეისრის სიამაყითაა შეპყრობილი.
და ბრძანა იულიუს კეისარმა და დაემხვნენ მის ფერხთა წინაშე თრაკიის მოქალაქენი.
და ამაღლდა კეისარი, ვითარცა ქრისტე ან მუჰამედ, ან რომელიღაც ღვთაება.
ეს ახლა ჩემთვის სულერთია, ვითარცა ვინ...
ჩემთვის ის არაა სულერთი, რომ დედაჩემს სულ მთლად გაუთეთრდა თმები. პატარა ქალია დედა და ოდნავ მიმჭკნარი ხელები აქვს უკვე.
ახლა, ალბათ, ცეცხლთან ზის დედა. ხანდახან ვაშლებს მიუწყობს ცეცხლს. მერე გარედან შემორბიან ბავშვები და მიაქვთ შემწვარი ვაშლები. ჩალის ზვინებთან მიჯდებიან, ფუჩეჩს გადმოიყრიან თავზე და ერთმანეთს ჰკითხავენ:
— კარგია, ბიჭო?!
— აბა არა, — უპასუხებს მეორე.
მერე დაიწყებენ თოვლის შეზვინვას, გაიყვანენ გვირაბებს და გვირაბებში ჩადგება სათამაშო მანქანების მწკრივი.
დედა და მამა კი სხედან ბუხართან. ან იგონებენ რამეს, ან იქნებ იგონებენ კიდეც, ახლა წამოდგება მამაჩემი, საქონელს ჩალა სჭირდებაო, ან თოვლმა გადალუნა ალუბალი და უნდა დავბერტყოო.
დედა კი ზის. იქნებ ჩემზეც ფიქრობდეს.
დედამ იცის, რომ მე უნდა ვისწავლო ბერძნული სახელების ვოკატივი და მეც იმიტომ მაქვს გადაშლილი რვეული წინ.
გარეთ კი მზეა. გვერდით წყნარად ზის ჩემი მეზობელი და ისევ იულიუსის თუ პომპეუსის ლაშქრობას კითხულობს.



მხატვარი დ. ერისთავი

## პირველი მოთხრობა

ჩვენ უკვე მესამე საათია ჭადრაკს ვუსხედვართ.
მან თქვა, ჭადრაკში კაცის ხასიათი ჩანსო.
პირველი პარტია ეს-ესაა მოვათავეთ.
— ჩემი ვატერლოო, — ვთქვი მე დამთავრებისას.
მან გაიცინა და დაკვირვებით შემათვალიერა.
ახლა მისი სვლაა. მან ლაზიერი გადააადგილა. მე მხედარს მივუახლოვე თითები და შევჩერდი.
ვფიქრობ მასზე.
იგი დღეს გავიცანი. მაღალი და ნათელთვალებიანი ბიჭია.
უყვარს ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“.
ჯერ მეტი არაფერი ვიცი. ჭადრაკის თამაშს როცა დავასრულებთ, მისი ხასიათიც მეცოდინება.
ახლა მე შევთხზავ ზღაპარს.
„საღამოა. მთვარე. მე და ის. ცხრა მთა გადავიარეთ, ცხრა მინდორი... და სასახლესთან შევჩერდით.
სასახლესთან კი არა, კოშკთან...
იქნებ ლილილოებისგან მოწნულ კარავთან.
იგი შეჩერდა. მეც შევჩერდი და ვთქვი:
— აუ, რა დიდი ხარ!
იგი დაიხარა, ხელზე დამისვა და ჰაერში გამატარ-გამომატარა“.
— რამდენს ფიქრობთ? — გაკვირვებით შემომხედა მან, — ალამი ჩამოვარდა!
— ახ, უკაცრავად!
მექანიკურად გადავსვი მხედარი და ვუთხარი:
— თქვენი სვლაა!
მან მხრები აიჩეჩა და დედოფლით დამემუქრა.
ისევ ჩემი ჯერია.
„— რა პატარა ხარ, — მითხრა მან. მერე ხელსახოცი ამოიღო, გამახვია და ჯიბისკენ გამაქანა.
უკვე ჯიბეში ვარ. პატარა, გალეული.
— შენ სუსტი ხარ! — მითხრა მან, — მე შემიძლია დაგტოვო ჩემს ჯიბეში.
— მე ამაყიც ვარ! — ვუთხარი მე.
— მე ძლიერი ვარ და დაგიფარავ! დარჩი მანდ! — შემემუდარა იგი.
— მე ამაყი ვარ!“
მან უცებ მოხვეტა ფიგურები, ყუთში ჩაყარა და ხმაურით დახურა ყუთი.
მერე ხელი გამომიწოდა.
— ჭადრაკი ხასიათს ავლენს! — ვთქვი მე.
— ყოველთვის არა, — მითხრა მან და წავიდა.
იგი მიდიოდა გრძელი ნაბიჯებით. ერთხელაც არ მოიხედა უკან... და მე დავრჩი.
მაგიდაზე იდო ჭადრაკის ყუთი და შიგ უწესრიგოდ ეყარა ფიგურები.

# მარჯვენა ქალისა

საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის კარიბჭესთან სახალხო გმირის — არსენას ძეგლია აღმართული. ჩვენამდე ზღაპრად მოსული არსენა, მდიდარს რომ ართმევდა და ღარიბს აძლევდა... ამ ძეგლში განსახიერდა გმირისადმი ხალხის სიყვარული, მისი უკვდავება და გამვლელნიც ალტაცებით უმზერენ შემოქმედის მარჯვენით გაცოცხლებულ არსენას. ეს მარჯვენა კი... ქალს ეკუთვნის — ელენე ზაქარიას ასულ მაჩაბელს; მაჩაბლის არსენა არის ერთი იმ პირველ მონუმენტთაგანი, რომელიც ძველი, დიდი ქართული კულტურის ცენტრში, ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლთა გარემოში დგას. და ეს მონუმენტი, შექმნილი ქალის ხელით, დგას როგორც ქანდაკება სიცოცხლისა, არდავიწყებისა. ამრიგად, მარჯვენა მოქანდაკე ქალისა შთაგონებულია მშობელი ხალხის საუკეთესო იდეალებით.

ელენე ზაქარიას ასული მაჩაბელი კახეთში, სოფელ კაკაბეთში დაიბადა 1906 წელს. მამა ადრე გარდაეცვალა. დედამ — მარიამ სოლომონის ასულმა მჭედლიშვილმა იმთავითვე სამშობლო ქვეყნის სიყვარული და მის წინაშე პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა შთაუნერგა. ხელოვნებისადმი თაყვანისცემა გოგონას ჯერ კიდევ ქალთა პირველ გიმნაზიაში სწავლისას გაუღვიძა ცნობილმა მხატვარმა დავით კაკაბაძემ.

1924 წელს აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა. გამოცდილი, სახელოვანი პედაგოგები წარმართავდნენ მის მეცადინეობას. მაგრამ გულმა ქანდაკების ფაკულტეტზე გაუწია და რუსეთიდან სამშობლოში ახლადდაბრუნებული მოქანდაკის — ნიკოლოზ კანდელაკის სახელოსნოში გადავიდა. ამ სახელოსნოში დაეუფლა ელენე მაჩაბელი ქანდაკების ხელოვნების „საიდუმლოებას", საქანდაკო ხელოვნებისათვის აუცილებელსა და დამახასიათებელ საზომს. მოქანდაკე ქალი საზოგადოებას პირველად 1933 წელს წარუდგა, გამოფინა „კომკავშირელი გოგონას პორტრეტი", ნატურალური ზომისა. ეს იყო პირველი ცდა თანამედროვე ახალგაზრდა ქალის მხატვრული ასახვისა. მისი გოგონა აღვსილია რომანტიზმით, შემართებით, და შემოქმედი ქალიც აქედანვე მტკიცედ და უყოყმანოდ ჩადგა ქართველ მოქანდაკეთა რიგებში. იგი უპირატესად პორტრეტულსა და ფიგურულ ქანდაკებაზე მუშაობს. პორტრეტი და ფიგურა მისთვის მხატვრული ხილვისა და სინამდვილესთან მისი დამოკიდებულების არტისტული გახსნის ერთ-ერთი საშუალებაა. მაჩაბელს იტაცებს ადამიანის სულიერი სამყაროს რეალისტური გახსნის ამოცანა, ამოცანა ადამიანის სულიერი ცხოვრების რეალისტური პლასტიკური გარდასახვისა. სულიერი მრავალსახეობის პლასტიკური ფორმა და მისი სახვითი მეტყველება, მისი პლასტიკის მეშვეობით გადმოცემა — აი, მიზანი მხატვრისა. მისი თემატიკა ცხოვრებიდან მოდის, ცხოვრების მშვენიერებითაა შთაგონებული. მისთვის უმთავრესი თანადროულობაა — მაშინაც კი, როცა წარსულის თემას ასხამს ხორცს. მოქანდაკე ქალი საბჭოთა ადამიანის სულიერი სილამაზით, მისი მოქალაქეობრივი შემართებით არის შთაგონებული, იტაცებს მისი თანამედროვის — კომკავშირელის, საბჭოთა არმიელის, სამამულო ომის გმირის, პარტიზანის, სპორტსმენისა და სხვათა სახეები, მათი სულის მოძრაობა, მათი სხეულის დახვეწილობა და სიმშვენიერე. „კომკავშირელი გოგონას პორტრეტის" ხაზს აგრძელებდა მისი „წითელარმიელის პორტრეტი" (1937 წ.); საბჭოთა სინამდვილის გაგებასა და მისი მხატვრული ასახვის ამოცანას უძღვნა მოქანდაკემ ი. ბ. სტალინის პორტრეტიც (1937 წ.).

ძიებამ მხატვარს ასპარეზი გაუხსნა... ჩამოდგა მის ცხოვრებაში სიმწიფის ხანა. მხატვარი ქალის მარჯვენაც ამიერიდან ფიგურას მიეტანა. მისთვის შთამაგონებლად იქცა გმირული ხასიათი. ამის დასტურია „წითელარმიელის ფიგურა" (1940 წ.). ეს ქანდაკება პლასტიკურად მკვრივია, პროპორციები მყარია და სიმკვრივის გადმოსაცემადაა გამიზნული. ფიგურა აქ მტკიცედ დგომის, ურყეობის იდეას გამოსახავს.

ანდა „სვანი პარტიზანი" (1946 წ.). ელენე მაჩაბელი აქაც საოცარი მიგნებულობით ძერწავს, და აქაც პლასტიკური, საქანდაკო ფორმა სხეულისა გმირის სულიერი ყოფისა და მისი შემართებულობის გამოვლინებაა. მხატვარი ქალი თავის ფიგურულ კომპოზიციებში ინარჩუნებს და აჩვენებს ჩვენი ყოფისათვის სახასიათოსა და ნიშანდობლივს. იგი ყოველთვის იმის ცდაშია, რომ ქანდაკებაში გადმოცემულს ცხოვრებისეული მეტყველება და მომხიბვლელობა შეუნარჩუნოს, შეუნარჩუნოს მეტყველების სიმართლე და მისი პლასტიკური ფორმა. მოქანდაკე ქალს მის მიერ შექმნილ პორტრეტებში: „გოგონას პორტრეტი" (1957 წ.), „ცისია" (1959 წ.) და სხვა წინა პლანზე აქვს წამოწეული ის, რაც გამოსახულთათვის ხასიათისეულია.

და თუნდაც იგივე არსენა ოძელაშვილის მონუმენტი ძეგლი, რომელიც მრავალმხრივ არის საინტერესო; იგი, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ახალი დროის ქართული მონუმენტური ქანდაკების ისტორიის თვალსაზრისით. ამავე დროს იგი ერთი იმ პირველთაგანია ქართულ პლასტიკაში, რომელიც ეძღვნება ქართველი ხალხის გმირის ასახვას. ვიმეორებთ, რომ ეს არის ძეგლი უკვდავებისა და ეს უკვდავება მცხეთის გორაკების ფოხზეა აღმართული, გვერდზე ნაბადმოგდებული, ხანჯალზე ხელჩამოდებული. ასე დგას იგი, როგორც სიმართლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი კაცის ხატება. და ელენე მაჩაბელიც ამ გმირულისა და ცხოვრებისეული სიმშვენიერის მხატვარია. მოქანდაკე ქალის მარჯვენა მშობელი ხალხის მსახურია, და მისი საუკეთესო იდეალებითაა შთაგონებული.

შალვა კვასხვაძე



სპორტსმენი გოგონა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცისია



გოგონას პორტრეტი



გოჩა აბაშიძის პორტრეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკაკის ძეგლი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში

## სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები მოქმედებაში



„მოდინახეს" ციხე

# მოდი, ნახე!

(რეპორტაჟი საჩხერის რაიონიდან)

ზემო იმერეთის ულამაზეს მხარეში, საჩხერეში შუა ზაფხულში ჩავედი. იქ მაცოცხლებელი გრილი სიო და ცივი წყაროები დამიხვდა. ბორცვიდან ბორცვზე შეფენილი სოფლები საჩრდილობლად კაკლისა და ცაცხვის ხეებს იწვდიდნენ. ზემო იმერელი ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ ახალგაზრდა ჯანსაღი, კეთილშობილური იერით მახარებდა. და ყველგან, ყველა უბანზე — ქარხანასა თუ ვენახში, ყანასა თუ მშენებლობაზე შრომის სიმფონია ისმოდა, გულდაჯერებული, გამიზნული და ახალი შემოქმედებითი ცეცხლით დანთებული სიმფონია.

მე დავრწმუნდი, რომ ყველა მშრომელს შეგნებული ჰქონდა პარტიის 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა გრანდიოზულობა, მათი განხორციელების დიდი მნიშვნელობა და საკუთარი ძალების შესაძლებლობა.

პირველად საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მოვხვდი და იქაურმა ვენახებმა, საძოვრებმა, სანერგემ ნამდვილად გამახარა.

სანერგეში ვნახე რაიკომის ბიუროს წევრი, სახელოვანი მევენახე ვასასი დეკანოიძე. შუახანს მიღწეული ქალი, მუხლებზე დაყრდნობილი, ხელებით იღებდა მიწას, თვითეული ვაზის ნერგის ძირს აფხვიერებდა, ბალახს აცლიდა და ჩოქვა-ჩოქვით გადადიოდა კვლებში.

0,25 ჰექტარზე რაიკომის ბიუროს წევრი წელს 20.000 ძირ პირველი ხარისხის ვაზის ნერგს მიიღებს. ასე ინება ვასასიმ, თორემ გეგმა 10 000 ძირი ჰქონდა. ინება იმიტომ, რომ გაიგო დიდი ამოცანა: ყრილობამ დაადგინა საქართველოს რესპუბლიკაში ვენახების ფართობების გაზრდა. საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა შოთა ბაზაძემ ყრილობის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ მეურნეობის მუშებთან ერთად ახალ ხუთწლედში 100 ჰექტარი ვენახის გაშენება იკისრა. ახალ ფართობებს ბევრი ნერგი სჭირდება. ამიტომ ვასასიმაც შეაფასა თავისი შესაძლებლობანი და გეგმა ორმაგად გაზარდა.

მასავით გაზრდილი ვალდებულებანი აიღეს სანერგეს მუშებმა — 22 წლის გიული ენუქიძემ, თინა კირვალიძემ და სხვებმა, რათა წლის ბოლოს მეურნეობამ 420 000 ძირი პირველი ხარისხის ნერგი მიიღოს.

ქვიშხური, ძველი შავი, ციცკა, ცოლიკაური ლამაზად, მწკრივ-მწკრივად გაუშენებიათ სოფელ მერჯევისა და წითელი სოფლის ტერიტორიაზე მეურნეობის მუშებს. 1957 წელს კოლმეურნეობის ბაზაზე შექმნილმა საბჭოთა მეურნეობამ 40 ჰექტარი ვენახი 314 ჰექტრამდე გაზარდა, კვლებში მანქანები გაუშვა, სადაც ხელმისაწვდომი იყო, მექანიზაცია გამოიყენა, ნიადაგი დაამუშავა, ვაზი შეწამლა.

მარტო მანქანები რას გახდებიან, თუ მათ ადამიანები არ იყენებენ! თაფლო კაპანაძემ თავდადებული შრომით ერთ ჰექტარზე შარშან 9 ტონა ყურძენი მოიყვანა, ამიტომ დააჯილდოვეს საპატიო ნიშნის ორდენით, ამიტომ მიიღო მაღალი ხელფასი და პრემია.

კარგად შრომობენ ელენე ბედიანიძე, შურა დეკანოიძე, ივლიტა წითლიძე, შრომობს 224 ქალი ვენახსა და სანერგეში, ფერმასა თუ საფუტკრეში და გეგმის გადაჭარბებით იღებს ზემოიმერულ შამპანური ჯიშის ყურძენს, არომატულ თაფლს, უგემრიელეს რძეს. წარმატებებს ისიც უწყობს ხელს, რომ მეურნეობაში უბნის გამგეებად მუშაობენ ენერგიული, საქმის მცოდნე ახალგაზრდა აგრონომები მზია კაპანაძე და ლილი ჭილლაძე.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ მეურნეობაში ძროხის საშუალო წველადობა წელიწადში 2.100 კილოგრამია, აქვთ მექანიზებული ფერმა, საზაფხულო საძოვრებზე კი — კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინები. მერჯევსა და წითელ სოფელში თითქმის ყველას ორსართულიანი სახლი უდგას, აქვთ კარგად მოვლილი კარ-მიდამო, ვენახები, ჰყავთ საქონელი, ცხოვრობენ შეძლებულად.

გასულ წელს მეურნეობის შემოსავალი 200 000 მანეთი იყო. მეურნეობამ ცხოვრე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის ყოველგვარი პირობები შეუქმნა ადამიანებს. აქვთ აბანო, ფურნე, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. დედებს შვილები ხალისით მიჰყავთ საბავშვო ბაღებში. მალე ყველა კომლის ეზოში იქნება წყალსადენი, აშენდება ახალი კულტურის სახლი.

როგორც მეურნეობის ბუღალტერმა, ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ვერა ქემერტელიძემ გვიამბო, საჩხერელი მევენახე ქალები სარგებლობენ დასასვენებელი სახლის საგზურებით, ომში დაკარგულთა ოჯახებს ურემონტებენ და უშენებენ სახლებს, უმუშავებენ კარ-მიდამოს.

ახლა ერთ პატარა სოფელს, ორღულს ვეწვიეთ, რომ გავცნობოდით რაიონის მოწინავე კოლმეურნეობას და მის ენთუზიასტ თავმჯდომარეს ივანე ჭილლაძეს. ივანემ კი, სანამ სოფელზე ან კოლმეურნეობაზე რაიმეს მეტყოდა, ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი, კომკავშირელი მარიამ ფოფხაძე შემომაგება: აი ეს არის ჩვენი სოფლის ახალგაზრდობის წარმომადგენელიო.

გოგონა თავის და-ძმებთან ერთად ადრე დაობლდა. პატარებს შრომა სად შეეძლოთ, ჯერ უნდა გაზრდილიყვნენ! სოფელმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ყოველდღიური ზრუნვით გამოზარდა და-ძმანი. დღეს ოთხივე შრომობს, საზოგადოებრივ დოვლათს ქმნის და კარგ მოსახლედაც ითვლება.

მარიამი მაინც სულ სხვაა — შრომისმოყვარე, დაუზარებელი. ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდი მოჰყავს, 70 ცენტნერის ნაცვლად — 110 ცენტნერი ბოსტნეული.

— ახლა მეკურდღლეობის ფერმას ჩაგაბარებ, ჩაგაცმევ თეთრ ხალათს და ივლი გალიებს შორის, — მამაშვილურად უთხრა თავმჯდომარემ.

და მაშინ შევიტყვე, რა დიდი პერსპექტივების წინაშე დგანან ორღულელები. ყრილობამ დაუსახა კოლმეურნეობებს საგუბარე მეთევზეობის და მეკურდღლეობის განვითარება. ივანე ჭილლაძემ თავად უფრო ადრე იფიქრა ამაზე. 300 დედა კურდღლისათვის გალიები დადგა და ჩემთან საუბარში ანგარიში დაიწყო. თითო დედა კურდღელი 32 ბაჭიას მოგვცემს წელიწადში, ახლა 300-ჯერ ოცდათორმეტი!

ორ ჰექტარზე კოლმეურნეობამ საგუბარე მეთევზეობა წამოიწყო. გაისად ამ ორ ჰექტარს 2-იც შეემატება და ახლა თევზი იანგარიშეთ!

ორღულელებს დღეს 58 ჰექტარზე ვენახი აქვთ, 31 ჰექტარზე ხეხილის ბაღს ახარებენ, 60 ჰექტარზე სიმინდის ყანას თოხნიან, 4 ჰექტარზე ბოსტნეული მოჰყავთ, 160 სულ პირუტყვს უვლიან.

და რაიონში მოწინავენი არიან!

და თავმჯდომარეც ლენინის ორდენოსანი ჰყავთ!

ენთუზიასტები იბადებიან. ძალად არ შეიძლება გახდე კაცი ენთუზიასტი, — ასე ვფიქრობდი, როცა საჩხერის საყალიბე ქვიშების გამამდიდრებელი ქარხნის ხელმძღვა-



იღებენ არომატულ თაფლს

საბავშვო ბაღში





მეურნეობის დირექტორი შოთა ბაზაძე (ცენტრში) ესაუბრება მეურნეობის მუშაკებს

მეურნეობის მეძროხეობის ფერმაში



მევენახე თაფლო კაპანაძე



ლების მუშას ვენერა ჯაფარიძეს, საამქროს მხარშავებს ელისო ქურციკიძეს და ნორა ლომიძეს, მზა პროდუქციის ბრიგადის ბრიგადირს ნანი ნოზაძეს და სხვებს.

ქარხანაში ამჟამად შენდება ტარის საამქრო, რომლის ბრიგადის ბრიგადირს 24 წლის იზა თურმანიძეს, რაიონული საბჭოს დეპუტატს, შესანიშნავი მიღწევები აქვს.

საჩხერლების სიამაყეა № 1 ღვინის ქარხანა, რომელიც დღე-ღამეში 350-400 ტონა ყურძენს ამუშავებს, მაშინ, როცა 1939 წელს, როცა ქარხანა მწყობრში ჩადგა, 300 ტონამდე ყურძენი მუშავდებოდა მთელ სეზონზე. დღეს 5 ათას ტონა ყურძენს ამუშავებს სეზონზე ქარხანა და უშვებს: 110 ათას დეკალიტრ შამპანურს, 100 ათას დეკალიტრ სუფრის ღვინო № 6-ს, 4 ათას დეკალიტრ — „იმერულს“, 300 ათას დეკალიტრ საკონიაკე მასალას. ქარხნის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა, 5 ათასი დეკალიტრი ტევადობის რკინა-ბეტონის რეზერვუარები, ემალის ცისტერნები, ტკბილი დუღილის უწყვეტი ნაკადური ხაზი, რამაც გაზარდა პრო-

ნელი ტარიელ წერეთელი რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მარმარილოსებურ კირქვებს მაჩვენებდა. მათი ნიმუშები კაბინეტში უწყვია და ვხვდები, რამხელა მომავალი ელის ამ კირქვების დამუშავება-გამოყენების საქმეს. კირქვები სხვადასხვა ფერისაა და ძვირფას მოსაპირკეთებელ მასალას წარმოადგენს. ასეთი კირქვები საქართველოს სხვა ადგილებში ჯერ არ უნახავთ. ამჟამად საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველო აღნიშნული კირქვების შესწავლას აწარმოებს. გავა ხანი და საჩხერეში, ალბათ, მათი გადამამუშავებელი კომბინატი აშენდება.



ორლულის კოლმეურნეობის თევზსაშენი

ახლა კი დღევანდელი სურათით ვკმაყოფილდები, მივყვები ტარიელ წერეთელს ქარხანაში და ვაკვირდები, როგორ ამდიდრებენ ქვიშას — რეცხავენ, ათავისუფლებენ მინარევებისაგან. ეს ქვიშა გამოიყენება მინის წარმოებაში, მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში. მისი მარაგი საჩხერის გარდა ჭიათურაში, უფრო ნაკლებად კი სურამსა და ხარაგოულში გვხვდება, მაგრამ ჭიათურის ქვიშა დაბალი ხარისხისაა, მსხვილმარცვლიანია და მინის მისაღებად არ გამოდგება.

ამჟამად საჩხერე რესპუბლიკას წელიწადში 40 ათას ტონა საყალიბე ნედლეულს აძლევს ქვიშისგან. რა თქმა უნდა, ეს რესპუბლიკისათვის ძალიან ცოტაა. მეცხრე ხუთწლედში ახალი გზა გამოინახა — აშენდება ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 400 ათას ტონა ქვიშას გამოუშვებს და მთლიანად დააკმაყოფილებს საქართველოს, მოამარაგებს ქვიშით მინის წარმოებასაც.

მომავალში აქ ამუშავდება გრანდიოზული ფაბრიკა, უფრო ადრე კი, წელს, ძველი ფაბრიკის სიახლე ის იქნება, რომ ქვიშის გადატვირთვა მოხდება გადამტვირთავი კვანძის გამოყენებით (დერეფნის საშუალებით) და წელიწადში დაიზოგება 100 ათასი მანეთი.

წელსვე დაიწყება ამ ფაბრიკაში მარმარილოსებური კირქვების დამუშავებაც. შემდეგ კი... შემდეგ ხუთწლედი უფრო გაშლის ფრთებს და დიდი წარმოება დაიბადება საჩხერის „მარმარილოს“ მისაღებად.

მეცხრე ხუთწლედი საჩხერის საკონსერვო ქარხანაშიც უკვე შევიდა.

— საქართველოს სსრ რესპუბლიკაში გავადიდოთ ხილბოსტნეულის კონსერვების წარმოება 1,4-ჯერ — ასე წერია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობის დირექტივებში.

საჩხერის საკონსერვო ქარხანა თუ წელს 5 მილიონ პირობით ქილა ხილისა და ბოსტნეულის კონსერვს ამზადებს, ხუთწლედის ბოლოსათვის ამ ციფრს შვიდ მილიონ ნახევრამდე გაზრდის.

საკონსერვო, ხილის ღვინოების, პიურეს და ნატურალური წვენის საამქროებში ქალთა უმრავლესობაა. კარგი წარმატებები აქვთ საკონსერვო საამქროს სამრეცხაო განყოფი-

დუქციის ხარისხი და შეამცირა მისი თვითღირებულება, შესანიშნავი კადრები, საქმისმცოდნე სპეციალისტები — ყველა და ყველაფერი ერთად ხელს უწყობს სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

— ჩვენი სურვილია, რომ ადგილობრივი წნეხები შეიცვალოს ბულგარულით, — გამოთქვა თავისი აზრი სამტრესტის საჩხერის ქარხანა-სამმართველოს უფროსმა გრიგოლ გიორგაძემ და ის ადამიანები დაგვისახელა, რომლებიც თავიანთ აზრსა და ენერგიას არ იშურებენ მაღალხარისხოვანი საჩხერული ღვინის მისაღებად. ესენი არიან: ქარხნის მთავარი მეღვინე პავლე ციმაკურიძე, ლაბორატორიის გამგე ევნო ჭილლაძე, მეღვინე მარო ჯოხაძე, კონიაკის სახდელი საამქროდან გუგულა კამლაძე, ქიმიკოსი მარიამ თურმანიძე, კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირი ლეილა სხირტლაძე, მოწინავე მუშები — ნანული აბაშიძე, ნანული გუდაძე, ელენე ბუჭუხაშვილი და ნანული ბარათაშ-





მეურნეობის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ვერა ქემერტელიძე

ხებისადმი დახმარება, უბინაოთა დაკმაყოფილება და ვინ მოთვლის, იმ საინტერესო ღონისძიებებს, რასაც ატარებს ეს შესანიშნავი მანდილოსანი. იგი მუდამ გრძნობს რაიონის ხელმძღვანელობის და მისი აქტივის დიდ მხარდაჭერას და დახმარებას. თუ არა და, მარტო პატივცემული ელენე რას გააკეთებდა!

აი, მისი საქმიანობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უბანი — მრავალშვილიან დედებთან ურთიერთობა, მათი საჭიროების დროზე გაგება და დახმარება. 14 გმირი დედაა რაიონში და ელენეს ინიციატივით ხშირად ეწყობა მათთან შეხვედრები.

იმ დღესაც პატივცემულმა ელენემ სოფელ პერევში 12 შვილის დედასთან — ეკატერინე მაჭარაშვილთან წამიყვანა. პერევი საჩხერის რაიონის შორეული სოფელია და სულ ახლოს სამხრეთ ოსეთის საზღვარი იწყება. ეკატერინე მაჭარაშვილი გმირი დედაა, სოფლის სკოლაში მესამე კლასს ყველა საგანს ასწავლის, სახლში ტოვებს მეთორ-

ვილი. ამ მშრომელი ქალების შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის განუწყვეტლივ ზრუნავს ქარხნის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ტასო ყიფიანი.

1969 წლიდან მუშაობს რაიონში ქალთა საბჭო, რომლის თავმჯდომარეა დიდი ენერგიის ადამიანი, რაიონის ქალებისათვის თავდადებული და მათი უფლებების დამცველი ელენე დურმიშიძე. რაიონული ქალთა საბჭო 29 წევრისაგან შედგება და უნდა ითქვას, რომ ალბათ, მამაკაცთა მონაწილეობა ქალთა საბჭოს მუშაობაში არის სწორედ ის გადამწყვეტი ძალა, რაც ასე რიგად წინ სწევს საქმეს.

რაიონულმა ქალთა საბჭომ ჩამოაყალიბა ქალთა უნივერსიტეტი მშობელთა პედაგოგიზაციის, ესთეტიკური აღზრდის, მედიცინისა და სანჰიგიენის ფაკულტეტებით, სადაც 220 ქალი ირიცხება.

რაიონულმა ქალთა საბჭომ კინოთეატრთან გახსნა ბავშვთა ოთახი, რომელიც პატარების დასასვენებელ და გასართობ ადგილად გადაიქცა. დედები კინოსეანსზე რომ შედიან, მათი შვილები აქ მორიგე აღმზრდელებთან შესანიშნავად გრძნობენ თავს.

კარგი ინიციატივა წამოიწყო ელენე დურმიშიძემ ახალშობილთა ხეივნის გასაშენებლად. მისივე თაოსნობით რაიონში საზოგადოებრივ საწყისებზე გაიხსნა ბიბლიოთეკა, სადაც შეწირულებათა სახით 1.500-ზე მეტი წიგნი ითვლება.

რაიონული ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ელენე დურმიშიძე რაისაბჭოს აღმასკომის ძველი, გამოცდილი მუშაკია. იგი წლების მანძილზე აღმასკომის მდივნად მუშაობს და მიუხედავად დატვირთულობისა, ძალიან დიდ დროს უთმობს ქალთა შორის მუშაობას, არ ავიწყდება არც სადღესასწაულო შეკრებები, არც თემატური საღამოები, ლექცია-მოხსენებები, გართობის საღამოები, ქალთა სამუშაოზე მოწყობა, ომში დაღუპულთა ოჯა-



საკონსერვო ქარხნის საამქრო



საყალიბე ქვიშების ქარხნის ლაბორატორიის უფროსი ეზა კურცხალია



ქვიშის გარეცხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



№ 1 ღვინის ქარხნის საამქრო



გმირი დედა, მასწავლებელი ეკატერინე მაჭარაშვილი შვილებთან.



არქეოლოგიური გათხრები „მოდინახეზე“

მეტე შვილს, ერთი წლის რამაზს და მაინც მშვიდად დგას გაკვეთილზე, რადგანაც მეუღლის — ჟორა შუკაკიძის და მოზრდილი შვილების — მამიას, ლალის, დალის და მანანას იმედი აქვს.

ასეთ ოჯახებს არ შეიძლება პირველ რიგში არ დაეხმაროს ელენე დურმიშიძე, მათ ყველა პირობა უნდა ჰქონდეთ გონიერი და ჯანმრთელი თაობის აღზრდისათვის, ჩვენი ხვალინდელი დღის დავაუკაცებისათვის.

და წარმომიდგენია, ამ ხვალინდელი დღის მოქალაქენი რა სიამაყით ჩაიბარებენ დღევანდელი ხუთწლედის გმირებისაგან შრომის საჭეს, რომ გამოსჭედონ მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე და სხვა მომავალი ხუთწლედები...

ლია კაკაბაძე

# ათასი ნათელი ოცნება

აუჩქარებლად გადაჭრა ქუჩა, გაკვეთილების დაწყებამდე დიდი დრო იყო... სამუშაო მაგიდაზე ბარათი დახვდა, ნაცნობი ხელით დაწერილი; თითქოს გული შეუფრთხიალდა... მერე სათუთად გახსნა, მოუთმენლად დახედა პირველ სტრიქონებს.

„მარიამ მასწავლებელო, ჩვენ გავიზარდეთ, დავვაჟკაცდით, წავედით ჩვენ-ჩვენი გზით და ზოგს, იქნებ, ნაკლებად ახსენდება სკოლა, ის რაც დატოვა, ზოგს... თქვენ კი, ალბათ, ძველებურად დგახართ მერხებს შორის და თქვენებური გატაცებით უნერგავთ ბავშვებს ქართული ლიტერატურისა და სამშობლოს სიყვარულს, სიკეთისა და პატიოსნების სიყვარულს. ალბათ, ახლაც უზიხართ რვეულებს, ტეხთ ღამეებს და იგონებთ იმ ღამეებსაც, როცა ჩვენს რვეულებს ასწორებდით, სტრიქონებს შორის ჩვენს თვალებს ხედავდით და ფიქრობდით, როგორ გაგვეადვილებინათ მარტო მშობლიური ლიტერატურის სწავლება კი არა, მთელი ცხოვრება.

— ნეტავ, თუ შეგიძლიათ, გაგვიხსენოთ თვითეული“...

როგორ არა, ახსოვს, კარგად ახსოვს მარიამ ბაშინჯაყოვას სიღნაღის ვაჟთა სკოლა... თითქოს ყველამ ერთად შემოაღო კარი... მერე მასწავლებლის მეხსიერებაში თანდათან გაცოცხლდა ბევრი განცდილი, ნაოცნებარი, მწუხარება და, მასთან ერთად, სიხარულიც. ახსოვს თამაზიც, ამ სტრიქონების ავტორი. თითქოს გუშინ იყო... დაფასთან გამოიძახა, ვერ უპასუხა: „მამა არა ჰყავს“, — გაუბედავად წარმოსთქვა ვიღაცამ ბოლო მერხიდან. „დედამ მიატოვა“, — მწუხარებით სთქვა მეორემ.

ომის წლებში განა მარტო თამაზს არ ჰყავდა მამა?.. თითქოს რაღაც ჩაწყდა გულში. მიხვდა მასწავლებელი — მშობლის ალერსი, სითბო უცხო იყო ბიჭისათვის. თვალზე მომდგარი ცრემლი რომ დაემალა, ჟურნალს დაუწყო ფურცვლა. მარტო სკოლას მინდობილ, მშობლის მზრუნველობას მოკლებულ ბიჭში თითქოს ყოველგვარი გრძნობა ჩამკვდარიყო...

„...მარიამ მასწავლებელო, თქვენი მოფერება უხამად მეჩვენებოდა,' გაბრაზება მეხივით მატყდებოდა თავზე. თქვენ მაინც ყველაფერი გააკეთეთ, რომ მე ღირსეული მოქალაქე დავმდგარიყავი“.

მართლაც. რამდენი ღამე გაუთენებია მარიამს თამაზის ბედზე ფიქრით.

მის ბავშვებს ძალიან უყვარდათ თავისუფალი თემის წერა. მე-8 კლასშიც ჩაატარა წერის გაკვეთილი ასეთ თემაზე: „ვინ მინდა ვიყო“. ჩვეულებრივ, საპროგრამო თემაზე რომ ატარებდა საკლასო წერას, თამაზი ერთ გვერდსაც ვერ შეავსებდა ხოლმე. მასწავლებლის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა თამაზმა ხელი მოჰკიდა კალმისტარს და თავაუღებლად წერა და წერა! ერთი სული ჰქონდა, სანამ მის რვეულს გადაშლიდა. თამაზმა კი დაწერა: მეზღვაური მინდა გავხდე, კიდითკიდემდე შემოვიარო ქვეყანა, არ დავტოვო ზღვის სიღრმეც კი, იქნებ, მამას შევხვდე სადმეო.

„რაც კი კარგია ჩემში, ყველაფერი თქვენ მომეცით!.. ვერასოდეს დაგივიწყებთ...“

ვერც მარიამი დაივიწყებს მათ... ხშირად იბარებდა მოწაფეებს შინ. ხან ახალ წიგნებს მისცემდა, ხან ლამაზ სურათებს. იმ დღესაც რამდენიმე ბიჭი დაიბარა და დაავალა თამაზიც მიეყვანათ. ბიჭებს ახალი წიგნები აჩვენა, ღია ბარათები შესთავაზა. თამაზი ხარბად აკვირდებოდა სურათზე ზღვას.

— გინდა, წაიღე, — შესთავაზა მასწავლებელმა. — სკოლას რომ დაამთავრებ, შეგიძლია მეზღვაურთა სკოლაში შეხვიდე, ოღონდ ჯერ აქ უნდა ისწავლო კარგად!..

იმ წუთში ისეთი თვინიერი გახდა ბიჭი, ისეთი თვალებით შეხედა მასწავლებელს, რომ იფიქრებდი, მორჩა, გარდაიქმნაო... მაგრამ განა ეს ასე ადვილი იყო? დიდხანს მუშაობდა ბიჭთან. არაფერს ტოვებდა უყურადღებოდ მის ცხოვრებაში. შედარებაც არ შეიძლება, თავისუფალი წერის შემდეგ ისე გამოიცვალა; „სიკეთისაკენ იბრუნა პირი...“

„ვერასოდეს დაგივიწყებთ“, — ახლა უკვე ხმამაღლა წაიკითხა მარიამმა.

ვერც მარიამი დაივიწყებს მას. ვერც სიღნაღის საშუალო სკოლას დაივიწყებს. თვითონაც ხომ პირველად იქ დაეწაფა სწავლას. შემდეგ კი, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, კვლავ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. უნდა გენახათ, ახლა უკვე მასწავლებელი, რა მორიდებით შეაღებდა ხოლმე სკოლის კარს, სამასწავლებლოში კარგა ხანს ვერ ჯდებოდა თავისი ყოფილი აღმზრდელების გვერდით. ოცი წელიწადი გაატარა სიღნაღის საშუალო სკოლაში.

თბილისის მე-60 საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად კი უკვე მეთერთმეტე წელიწადია, . რაც მუშაობს.

ფიქრი ზარის წკრიალმა გაუწყვიტა. ჟურნალი აიღო და საკლასო ოთახისაკენ გაეშურა.

მეათე კლასში სიჩუმეა. ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებთ. მარიამ ბაშინჯაყოვა სარკმელთან დგება ერთი წუთით, სიყვარულით გადახედავს ბავშვებს. სიის ამოკითხვაც არ უნდა, თვალის ერთი გადავლებით ხედავს — ყველა სახეზეა. ათობით წყვილი თვალი აედევნება. მერე მასწავლებელი მერხებს შორის დაივლის და საშინაო დავალებას შეამოწმებს. ზოგს მოუწონებს, ზოგს შენიშვნას მისცემს, ფრთხილად, ტაქტიანად. თუ რომელიმემ რაიმე მიზეზით დავალება ვერ შეასრულა, გაკვეთილების შემდეგ დაიბარებს, არ შეარცხვენს, არ გააწითლებს ამხანაგებთან. „აბა, ვინ მიპასუხებს გაკვეთილს?“

ეროვნული ბიბლიოთეკა



პასუხობს ერთი, მეორე, მესამე... შემდეგ უკვე ათობით წყვილი ყური გაფაციცებით იჭერს მასწავლებლის ყოველ სიტყვას.

„სამწუხაროდ, ქრესტომათიული სახელმძღვანელოები ძალზე ძუნწ წარმოდგენას აძლევენ ბავშვებს მწერლებზე“, — ასე ფიქრობს მარიამი და ცდილობს, უფრო მეტი მისცეს. გააცნოს ის ძვირფასი მოგონებანი, რომელიც ფაქიზად შემოგვინახა ჩვენმა ინტელიგენციამ. მწერლის შემოქმედების შესწავლას სანამ დაიწყებდნენ, მასწავლებელი წინასწარ ამზადებს კედლის გაზეთს, რომელშიც ათავსებს მნიშვნელოვან თარიღებს მწერლის ცხოვრებიდან, მოგონებებს.

„სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა, სამშობლო ჩემი ლექსის სახელი“ — შესანიშნავი ქართველი მწერლის — გიორგი ლეონიძის ეს სტრიქონები ჰქონდა წამძღვარებული კედლის გაზეთს, რომელიც გიორგი ლეონიძის შემოქმედების შესასწავლად მოამზადა მარიამმა.

„ასე იცნობდნენ მას“ — აი, გაზეთის ერთ-ერთი განყოფილება. აქ მოყვანილი იყო ირაკლი აბაშიძის, გიორგი ჯიბლაძის, გრიგოლ აბაშიძის, გიორგი ნატროშვილისა და სხვათა მოგონებები. მოსკოვიდან, კიევიდან, ვილნიუსიდან, მინსკიდან გამოგზავნილი სამგლოვიარო დეპეშებიც კი აღებეჭდათ გაზეთში.

რომ კიდევ უფრო საფუძვლიანად იცოდნენ ქართული ენა და ლიტერატურა, მის მოწაფეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში ოთხი სახის რვეული აქვთ. ერთი მართლწერისათვის, მეორე — საშინაო წერისათვის, მესამე რვეულში ლიტერატურული გმირების თვისებებს ინიშნავენ, მეოთხე ჩანაწერებისათვის აქვთ. ეს ჩანაწერები ბრძნული გამონათქვამები, აფორიზმებია.

ჰოდა, ყველაფერი ამის წყალობით, ბავშვებისთვის ბევრი რამ ხდება ნათელი, და, რაც მთავარია, ნათელი ხდება, რომ ბედნიერება მოაქვს შრომას, ცოდნას, ხალხის, ქვეყნის სამსახურს. მასწავლებლისთვის კი ბედნიერება, პირველ რიგში, ბავშვებს მოაქვთ.

„კლასის ხელმძღვანელის მუშაობა მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის დარგში“, — ეს საკითხი აირჩია მარიამ ბაშინჯაყოვამ სადისერტაციო თემად და წლების მანძილზე მუშაობდა დიდი მონდომებითა და გატაცებით. ამავე საკითხს ეძღვნება მის მიერ ადრე გამოქვეყნებული ექვსი სამეცნიერო ნაშრომი. აი, ზოგიერთი მათგანი: „გულწრფელობისა და კეთილსინდისიერების აღზრდა მოსწავლეებში“, „კლასის ხელმძღვანელის მუშაობის გამოცდილება“, „მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის საშუალებანი“.

მოსწავლეებთან მისადგომად სხვადასხვა გზა უნდა მოძებნო, — ასე ფიქრობს მარიამი, — ზოგს გაჯავრება სჭირდება, ზოგს, პირიქით, დაყვავება. ამისათვის კი დრო არის საჭირო. ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობა ხანგრძლივი პროცესია. პედაგოგის ხელოვნება კი სწორედ ის არის, მათს სულიერ სამყაროსთან მისასვლელი გზა იპოვნოს. ყველა მასწავლებელმა უნდა იმუშაოს კლასის ხელმძღვანელად, რადგან კლასი აღმზრდელს საფიქრალსაც აძლევს, საზრუნავსაც და გონებრივ საზრდოსაც.

ამ საფიქრალმა და საზრუნავმა დააწერინა მარიამ ბაშინჯაყოვას შესანიშნავი სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც ბრწყინვალედ დაიცვა ამ რამდენიმე თვის წინათ. სამეცნიერო საბჭომ მას ერთხმად მიანიჭა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

მეცნიერი ქალი სკოლას ვერ შეელევა, რადგან თავისი სიცოცხლის არსსა და მოწოდებას ის ბავშვებთან ურთიერთობაში ხედავს. აბა, როგორ შეელევი იმას, რასაც ოცდათერთმეტი წელიწადი ფარვანასავით თავს ევლები!

ბავშვები იზრდებიან, მერცხლებივით ფრთიანდებიან და ბუდეს ტოვებენ. ის კი რჩება ბუდეში და გაუნელებელი სიყვარულით ასწავლის ილიასა და აკაკის, ვაჟასა და გალაქტიონს, ოცდათერთმეტი წელია, უდიდეს სიხარულს ანიჭებს სკოლა, რადგან იქ ასობით მოციმციმე სახეა, ათასობით ნათელი ოცნება.

**იზა ელისაშვილი**

## ნედლი სალამურები

### კაცი და ბავშვი

ლილი გულუხია

თეთრი ღრუბლები
დაცურავდნენ
იისფერ ცაზე
და იწვა ტალღა.

მინდორი ჰგავდა
ცხელ უდაბნოს,
წყურვილით სავსეს,
შემოსალტოდა
კაბა.

რუხ ქვიშაზე კი
ერთგულ ძაღლივით
დაძრწოდა გრძელი
ყავარჯნის ჩრდილი.

და შიშინებდა
თეთრი ნიჟარა,
თეთრი ცრემლივით
სველი და ლბილი.

მზე იყო მაღლა,
და დედამიწა
ბრუნავდა, როგორც
ბრუნავდა მაშინ.

ცეცხლწაკიდებულ
ყავარჯნის ჩრდილქვეშ.
იჯდა მდუმარე, ნაბრძოლი
კაცი.

და გაშვერილი
ხელებით ცისკენ
დატანტალებდა
პატარა ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**წარსულიდან**

# ქართული კულტურის მეგობარი

გასულ წელს შესრულდა 100 წელი ქართველი მწერალი ქალის, ევროპული ენების შესანიშნავი მცოდნის ელისაბედ ორბელიანის დაბადებიდან.

ელისაბედ ორბელიანი დაიბადა თბილისში. მამა ირაკლი ბატონიშვილი და დედა თამარ ჭავჭავაძე წარმოშობით ძველ თავადაზნაურულ ოჯახს ეკუთვნოდნენ და მეფე ერეკლე II-ის შთამომავალნი იყვნენ.

ელისაბედი და მისი და ეკატერინე პარიზის კათოლიკეთა მონასტერთან არსებულ სასწავლებელში სწავლობდნენ, შემდეგ — კი სორბონის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრეს.

ელისაბედი ბევრს მოგზაურობდა ევროპის ქვეყნებში, სწავლობდა მათ ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვნებას, მშვენივრად ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებს.

1895 წელს ის თბილისში დაბრუნდა და 1898 წელს ცოლად გაჰყვა მამუკა ორბელიანს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან კარგად შეისწავლა ქართული ლიტერატურა და ღრმად დაეუფლა ქართულ კულტურას.

ელისაბედ ორბელიანი ბავშვობიდანვე იჩენდა დიდ სიყვარულს და მიდრეკილებას ლიტერატურისადმი. 10 წლის გოგონას თბილისში უკვე 2 საბავშვო გაზეთი ჰქონდა: ერთი ფრანგულ ენაზე, მეორე კი — ინგლისურზე.

1910 წელს თბილისში ფრანგულ ენაზე გამოიცა მისი ლექსების კრებული „საზანდარის“ ფსევდონიმით.

ე. ორბელიანმა შეადგინა ქართული პოეზიის ანთოლოგია ფრანგულ ენაზე. აქ მოთავსებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის „სიყვარულო, ძალსა შენსა“, „მუხამბაზი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის — „მერანი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „სულო ბოროტო“, „საყურე“, ნაწყვეტი პოემიდან „ბედი ქართლისა“ და სხვ. გრიგოლ ორბელიანის — „მუშა ბოქულაძე“, „სადღეგრძელო“, „გინდ მეძინოს“ და სხვ. აქვეა ბესიკის, ვახტანგ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაქტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის და სხვათა ლექსების თარგმანები.

ელისაბედ ორბელიანმა ფრანგულ ენაზე თარგმნა ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ტექსტი.

გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახება ელისაბედ ორბელიანის ალბომი, სადაც მოთავსებულია ჩანაწერები, სახსოვარი, მოხდენილი ექსპრომტები ლიტერატურის და ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლებისა: აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, კ. ბალმონტის, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის, კოტე მესხის, ლ. ყიფიანის, იაკობ ნიკოლაძის, ვასო აბაშიძის, ნინო ჩხეიძის, იოსებ გრიშაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ფრანგი პოეტის ფრანსუა კოპეს, ფრანგი მწერლის მარსელ პრევოს და მრავალ სხვათა, რომლებიც ელისაბედ ორბელიანის, ამ მშვენიერი და სტუმართმოყვარე დიასახლისის ლიტერატურული სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ.

ალბომი გვიამბობს ჭკვიან, მომხიბლავ, ბრწყინვალე განათლების მქონე ადამიანზე, რომელმაც მთელი თავისი ენერგია და ძალა შესწირა ქართული კულტურისა და ლიტერატურის პროპაგანდას.

აქვეა ფრანგულ ენაზე ელისაბედის ხელით 1912 წელს ჩაწერილი შთაბეჭდილებანი სობინოვის, ჰოფმანის, რახმანინოვის კონცერტების შესახებ, საკუთარი ლექსების რამდენიმე რვეული, აკინძული პატარ-პატარა წიგნებად. ლექსები მიძღვნილია ამ გამოჩენილი მუსიკოსებისადმი, რომელთაც ელისაბედი პირადად იცნობდა.

მუზეუმში ინახება ელისაბედ ორბელიანის ხელნაწერი რამდენიმე რვეული, სადაც ფრანგულ ენაზე გამოთქმულია დიდად საინტერესო აზრები პოეზიაზე, ლიტერატურაზე, მხატვრობაზე, მუსიკაზე, რაც მეტყველებს მწერალი ქალის დიდ ნიჭზე, მის მრავალმხრივ ერუდიციაზე.

1907 წელს ალფონს ლიუმერმა პარიზში გამოსცა ელ. ორბელიანის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი მ. ლერმონტოვის „დემონი“. თარგმანს წამძღვარებული აქვს საფრანგეთის აკადემიის წევრის, ცნობილი პოეტის ფრანსუა კოპეს წინასიტყვაობა, რომელშიც იგი დიდ მადლობას უძღვნის ელისაბედს გაწეული შრომისათვის.

ელისაბედ ორბელიანი ბევრს მუშაობდა ქართული ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებების ევროპულ ენებზე თარგმნის დარგში.

1918 წელს ელისაბედ ორბელიანი დიდი აღფრთოვანებით და სიხარულით შეეგება ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. იგი გამოვიდა მღელვარე სიტყვით ფართო საზოგადოების წინაშე.

ელისაბედ ორბელიანი ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე მიიწვიეს. ის იყო უცხო ენების მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და პირველი ქალი ლექტორი საქართველოში, რომელიც ასწავლიდა ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებს. ელისაბედ ორბელიანმა შეადგინა „ფრანგული ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ სოლომონ იორდანიშვილის დახმარებით. ეს სახელმძღვანელო მოწონებული და გამოყენებული იყო მრავალი წლის განმავლობაში.

ელისაბედ ორბელიანის თარგმანებიდან ფუნდამენტალურ ნაშრომად ითვლება „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მან თეთრ ლექსად თარგმნა ფრანგულ ენაზე.

კომპეტენტურ პირთა ერთსულოვანი აღიარებით ეს თარგმანი ყველაზე ჩინებულია მანამდე არსებულ თარგმანთა შორის. ის ზუსტად გადმოსცემს რუსთაველის აზრთა წყობას და აფორიზმების ხასიათს.

ამ შრომაში მას დიდი დახმარება გაუწიეს დოცენტმა ს. იორდანიშვილმა და პროფესორმა შ. ნუცუბიძემ.

ელისაბედ ორბელიანმა რედაქცია გაუკეთა მარჯორი უორდროპის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“, წაუმძღვარა შესავალი და შეავსო ზოგიერთი გამოტოვებული სტროფით.

ქართველ პოეტთა ანთოლოგია, „ვეფხისტყაოსანი“ და მრავალი ლექსი დღემდე არ დაბეჭდილა. ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, აგრეთვე, ელისაბედ ორბელიანის რედაქტორობით გამოსული, ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

სასურველი იქნებოდა ზემოხსენებული შრომების დაბეჭდვა.

ელისაბედ ორბელიანი გარდაიცვალა 1942 წლის 25 ნოემბერს.

**ვერა ყაზაიშვილი,**
**თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სახალხო კლუბი

## აღზრდის ხელოვნება

# ბავშვი ზარმაცია...

(დასასრული)

ამრიგად, ბავშვს მარტო ის კი არ უნდა ესმოდეს, თუ რას და როგორ აკეთებდეს, არამედ — ისიც, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია მის მოქმედებას. მაშინ, დარწმუნებული თავის სასარგებლო საქმიანობაში, თვითონაც სიამოვნებას განიცდის და უფროსების დავალებასაც ხალისით ასრულებს

რამდენიმე წლის წინ, ზაფხულში, პიონერთა ბანაკის უფროსად ვმუშაობდი. ერთხელ ერთერთმა პედაგოგმა შემომჩივლა—მეექვსეკლასელი ზურიკო, მიუხედავად მრავალგზის მითითებისა, ძილის წინ ფეხებს არ იბანსო. მე ვურჩიე, თვითონ დასწრებოდა ზურიკოს ბანვას და არა ერთხელ და ორჯერ, არამედ სისტემატურად. ათიოდე დღის შემდეგ ზურიკოს ამხანაგები შემოვიდნენ და მთხოვეს, რომ ზურიკოს მიმართ მასწავლებლის სისტემატური ზედამხედველობა მომეხსნა. როგორც მოველოდი, ერთსა და იმავე დროს, სისტემატურად, ერთი და იგივე რიტუალის შესრულება ზურიკოს შინაგან მოთხოვნილებად გადაქცეოდა და წარმოიდგინეთ, ის ახლა სხვასაც არ აძლევდა უფლებას ფეხდაუბანელი დაწოლილიყო. ამით იმის თქმა გვინდა, რომ სისტემატური მომთხოვნელობით ბავშვს ჩავუნერგავთ სასარგებლო ჩვევას, გამოვუმუშავებთ ნებისყოფას და მოვაშლევინებთ სიზარმაცეს.

აი, კიდევ მაგალითი: ერთხელ მეზობლის ბავშვი შემოსულიყო ჩვენს ოჯახში და დიასახლისისათვის პური ეთხოვნა, თანაც შეხვეწნოდა, დედასთან არ გამთქვაო. მიზეზი ამ აქტის საიდუმლოდ შენახვისა კი ის ყოფილიყო, რომ ოჯახის პურით მომარაგება მას ჰქონოდა დავალებული. ბავშვს მთელი დღე ამხანაგებთან გაუტარებია და პურის მოტანა მაშინ გახსენებია, როდესაც ოჯახის წევრები სამსახურიდან დაბრუნებულან. ამ დროისათვის კი ჩვენს უბანში ყველა პურის მაღაზია იკეტებოდა. ბავშვის მშობლებს პურის ყიდვა არასოდეს გაუჭირდებოდათ, მაგრამ ეს საქმე 12 წლის შვილისათვის ჰქონდათ მინდობილი. და თუ ბავშვი თავის მოვალეობას არ შეასრულებდა, იგი თავის თვალით დაინახავდა, რომ მასთან ერთად ოჯახის სხვა წევრებიც მშივრები დარჩებოდნენ.

ხშირად გაიგებთ მშობლების ჩივილს: ჩემი შვილი ძალზე ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცია და სწავლა ეზარებაო. მართლაც, ხშირაა შემთხვევა, როდესაც ბავშვს ათვისების შესანიშნავი უნარი გააჩნია, მაგრამ გონებრივი შრომისთვის ნებისყოფა არ ჰყოფნის, გულს ვერ უდებს წიგნზე მუშაობას, ჩქარობს დავალების შესრულების დროს და მხოლოდ ზედაპირულად გადაავლებს თვალს ტექსტს. სამაგიეროდ, თავდავიწყებამდე შეუძლია ითამაშოს ამხანაგებთან, უსმინოს მაგნიტოფირზე ჩაწერილ მუსიკას, წავიდეს კინოში, სანახაობებზე, ერთი სიტყვით, უზომოდ გაერთოს.

სწავლაში სიზარმაცეს ის ბავშვი ავლენს, რომელიც სისტემატურად არ სწავლობს, ვინც შეგნებულად არ ეუფლება ცოდნას, და არ აქვს გამომუშავებული სიბეჯითე და მუყაითობა. სწავლა ეზარება იმ ბავშვსაც, რომელმაც ვერ გაიგო მასწავლებლის ახსნილი, არ იცის წინა მასალა, მას მარტო საგანი და მისი სწავლა კი არ ეზარება, არამედ, ზოგჯერ სძულს თვით საგნის მასწავლებელიც, სკოლაც და საერთოდ სწავლაც. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ბავშვის მიმართ მომთხოვნელობა სადღაც შესუსტდა, მან ჯეროვნად ვერ იგრძნო, ვერ განიცადა მოვალეობის შეუსრულებლობით გამოწვეული შეცდომა და ჩადენილი დანაშაული. შეცდომებისა და დანაშაულის გამეორება კი ბავშვის პასუხისმგებლობას ასუსტებს, რაც მიზეზი ხდება სწავლის სურვილის დაქვეითებისა და სიზარმაცისა.

თუ ექვი გვეპარება, რომ სიზარმაცის მიზეზი ბავშვის საერთო სისუსტეა, ასეთ შემთხვევაში საჭიროა კონსულტაციისათვის მივმართოთ ექიმს. ექიმის დახმარებით ადვილია დაავადების თავიდან აცილება. ჯანსაღი ორგანიზმი კი ხალისისა და სიცოცხლისუნარიანობის უდიდესი წყაროა.

დასასრულს, ისიც უნდა ითქვას, რომ არ არის საჭირო ბავშვს გადაჭარბებულად და პედანტურად ვეჩიჩინოთ, რომ ის ზარმაცია, უუნაროა. პირიქით, საჭიროა ყოველმხრივ წავახალისოთ, აღვნიშნოთ ბავშვის წარმატება, ობიექტურად და სისტემატურად შევაფასოთ მისი მოქმედება, დავეხმაროთ სიძნელეთა გადალახვაში. დინჯად და თავშეკავებულად ავუხსნათ ის, რაც მისთვის საჭიროა, მაგრამ გაუგებარია, ღრმად დავარწმუნოთ საკუთარ ძალებში, ანგარიში გავუწიოთ მის შესაძლებლობასა და უნარს, მის ინტერესსა და მიდრეკილებას. გვახსოვდეს, რომ ის ჯერ კიდევ ბავშვია და მისი შესაძლებლობა და ნებისყოფაც ბავშვურია.

დოცენტი ს. ციქურიშვილი

## პედიატრიის ანბანი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
მეცნიერებათა
აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი,
პროფესორი
ი რ ა კ ლ ი
ფ ა ღ ა ვ ა.

# ბრონქული ასთმა ბავშვებში და მისი მკურნალობა

ამ უკანასკნელ წლებში როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შორის შეიმჩნევა ალერგიულ დაავადებათა ერთგვარი გახშირება.

მკვეთრ მეტეოროლოგიურ ცვლილებათა გამო, რომელთაც ყოველთვის აქვთ ადგილი გაზაფხულის დასაწყისში, აღინიშნება ორგანიზმის მგრძნობელობის ერთგვარი მატება. ეს კი ხელს უწყობს ალერგიულ დაავადებათა და მათ შორის ბრონქული ასთმის გამწვავებას.

რა არის ბრონქული ასთმა და რით ხასიათდება იგი?

ბრონქული ასთმა სუნთქვის მკვეთრი გაძნელების პერიოდული შეტევებით მიმდინარე ხანგრძლივი დაავადებაა, რომელიც სასუნთქი გზების შევიწროებით და მასში ჰაერის ნაკადის მოძრაობის შეზღუდვით ხასიათდება. დაავადებას საფუძვლად უდევს უპირატესად წვრილი და საშუალო კალიბრის ბრონქების შევიწროება, რაც ერთის მხრივ ბრონქების ირგვლივი კუნთების ხანგრძლივი შეკუმშვით და მეორე მხრივ ბრონქების შიგნითა გარსის შეშუპებითა და ლორწოს გაძლიერებული გამოყოფით არის გაპირობებული.

ბრონქული ასთმა ინფექციურ-ალერგიული დაავადებაა. ალერგიის ქვეშ იგულისხმება ორგანიზმის მომატებული მგრძნობელობა სხვადასხვა გამღიზიანებელთა მიმართ. მაგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითად, ალერგიულ ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ მომატებული მგრძნობელობა კვერცხის, ხენდროს, თაფლის, შოკოლადის, ნიგვზის, მზესუმზირის და სხვა საკვების მიმართ. მათი მიცემა იწვევს კანზე სხვადასხვა ხასიათის გამონაყარს. ამ შემთხვევაში ეს პროდუქტები თამაშობენ გამღიზიანებლის ანუ ალერგენის როლს და ორგანიზმში მათი განმეორებითი მოხვედრა ხელს უწყობს ალერგიულ რეაქციათა გამოვლინებას. ბუნებაში მრავალგვარ ალერგენებს ვხვდებით. ეს ეგრეთწოდებული გარეშე ანუ „ეგზოგენური" ალერგენებია. ასეთებია: მიკრობები, ვირუსები, ბალახისა და სხვადასხვა ყვავილთა მტვერი, მათი სუნი, ოთახისა და საწარმოს მტვერი, სხვადასხვა სამკურნალწამლო ნივთიერებანი, განსაკუთრებით სულფამიდები და ანტიბიოტიკები, და ნაწილობრივ უცხო, ცხოველური წარმოშობის ცილები, რომელიც ბავშვის ორგანიზმში აცრების, ანუ ვაქცინაციის დროს ხვდებიან.

ალერგენის როლი იმ მიკრობებმაც შეიძლება ითამაშონ, რომელნიც ორგანიზმში არსებულ რომელიმე ჩირქოვან კერაში არიან დაბუდებულნი. მაგალითად, ნუშისებურ ჯირკვლებში, კარიესულ კბილებში, შუა ყურში და ჰაიმორის წიაღში. ესენი ე. წ. თვით ორგანიზმში არსებული ანუ „ენდოგენური" ალერგენებია.

ყველა ეს ფაქტორები მომატებული მგრძნობელობის მქონე ანუ ე. წ. სენსიბილიზებულ ბავშვებში ხელს უწყობენ ბრონქული ასთმის შემთხვევების გამწვავებას და მის ხანგრძლივად მიმდინარეობას.

მაგრამ ორგანიზმის მგრძნობელობის მომატება პირველ რიგში ინფექციური ფაქტორით არის გაპირობებული. ხშირი გრიპი, ზემო სასუნთქი გზების კატარი, ფილტვების ანთების გახანგრძლივებული, ქრონიკული და გამწვავებებით მიმდინარე ფორმები, კუჭ-ნაწლავის დაავადებანი და სხვა, ყოველივე ესენი ხელს უწყობენ ორგანიზმის მგრძნობელობის მომატებას, ანუ სენსიბილიზაციას. აქ გარკვეულ როლს კვების რეჟიმის დარღვევაც თამაშობს (უპირატესად ცილოვანი კვება), კონსტიტუციური ანომალიები (ექსუდაციური და ნერვულ-ართრიტული დიათეზი) და, რაც მთავარია, მემკვიდრეობითი მიდრეკილებანი, რომელსაც განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში მიექცა ყურადღება.

რაში მდგომარეობს ბრონქული ასთმის კლინიკური სურათი, ანუ რა ნიშნებით ხასიათდება ეს დაავადება ბავშვებში?

ბრონქული ასთმის ტიპიური შემთხვევები იმდენად დამახასიათებელია, რომ მისი დიაგნოსტიკა ძნელი არ არის.

შეტევა უფრო ხშირად იწყება ღამით, ერთბაშად, განსაკუთრებით შუაღამის ან დილის საათებში, რაც ამ პერიოდში ცთომილი ნერვის ტონუსის მომატებით არის გაპირობებული. ზოგჯერ, განსაკუთრებით მოზრდილ ბავშვებში, შეტევები დღისითაც შეიძლება განვითარდეს. იშვიათად შეტევის დასაწყისში ბავშვები გულმკერდის არეში უსიამოვნო შეგრძნებას ან მოჭერის გრძნობას უჩივიან, ხშირად აღინიშნება კანის ქავილი, მცირე ასაკის ბავშვებში, ასევე, ხშირად შეტევას წინ უსწრებს კატარული მოვლენები: სურდო, ხველა, ანგინა, ტემპერატურის მომატება და სხვა.

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ხმაურიანი, ე. წ. მსტვინავი ხასიათის სუნთქვა. სუნთქვა ძლიერ გაძნელებულია, განსაკუთრებით გაძნელებულია ამოსუნთქვა. აღინიშნება ქოშინი, სუნთქვაში მონაწილეობს როგორც გულმკერდის, ისე მუცლის კუნთები. რის გამოც ადვილად შეიმჩნევა სუნთქვის დროს საუღლე ფოსოს, ნეკნთაშუა არეების და მკერდისძვლის ქვეშა ფოსოს შეზნექვა. ბავშვი ფერმკრთალია, ხშირად აღინიშნება სახის მოლურჯო ელფერი, ჟანგბადის ნაკლებობა იწვევს გარკვეულ შიშს, შეშფოთებას, რაც თავისებურ გამომეტყველებას აძლევს ავადმყოფს. უფრო ხშირად ბავშვები იძულებით მჯდომარე მდგომარეობაში არიან, ხშირად ეჭიდებიან სკამის სახელურს ან საწოლის გარეთა კიდეს. დამახასიათებელია ხველა, უპირატესად მშრალი ხასიათის, შემაწუხებელი და გახანგრძლივებული, რომელიც მთავრდება წებოვანი ნახველის ამოღებით, ან ღებინებით, რასაც ზოგჯერ შეტევის შეწყვეტა მოსდევს.

შეტევა გრძელდება რამდენიმე წუთს, ზოგჯერ საათს, იშვიათად 1 ან 2 დღე-ღამეს. რაც უფრო მოზრდილია ბავშვი, მით უფრო იოლად მიმდინარეობს ასთმის შეტევა და მით უფრო ნაკლებ ხანს გრძელდება იგი. შეტევის ხანგრძლივობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარეშე ფაქტორებს: მშობლების დაბნეულობა, შიში, ტირილი კიდევ უფრო ახანგრძლივებს შეტევას და პირიქით, მათი მშვიდი, საქმიანი და გადამწყვეტი მოქმედება იწვევს ბავშვის ნერვული სისტემის დამშვიდებას და რამდენადმე ამოკლებს შეტევის ხანგრძლივობას.

შეტევები პერიოდულად მეორდება თვეში 1-2-ჯერ, ან ორ-სამ თვეში ერთხელ. თუ შეტევები იშვიათია, შეტევათა შორის პერიოდში ბავშვის ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ბავშვი ხალისიანია, მატულობს წონაში, მაგრამ თუ შეტევები საკმაო სიხშირით მეორდება, ასეთ შემთხვევებში ბავშვები სუსტდებიან, უვითარდებათ სიფერმკრთალე, იკლებენ წონაში და სხვა.

ბრონქული ასთმის შეტევები ხშირად შემოდგომა-ზამთრის და განსაკუთრებით გაზაფხულის დასაწყის პერიოდში გვხვდება. ზაფხულში შეტევები გაცილებით იშვიათია. შეტევის განვითარებას ზემოაღნიშნულ ეგზოგენურ და ენდოგენურ ალერგენების გარდა მეტეოროლოგიურ ფაქტორთა სწრაფი ცვალებადობაც უწყობს ხელს, როგორიცაა ძლიერ ქარიანი ამინდი, უხვი ნალექი, ატმოსფერული წნევის სწრაფი დაქვეითება, და განსაკუთრებით ჰაერის მომატებული ტენიანობა. სწორედ ამ უკანასკნელის გამო შავი ზღვის სანაპიროზე თვით ზაფხულის თვეებშიაც კი არაიშვიათია ბრონქული ასთმის ხშირი და მძიმედ მიმდინარე გამწვავებები.

როგორ ავიცილოთ თავიდან ბრონქული ასთმის დაავადება?

ამისათვის საჭიროა ალერგიისაკენ მიდრეკილი ბავშვები, ექსუდაციური დიათეზით დაავადებულნი და სხვა ალერგიული გამონაყარის მქონენი ვიყოლიოთ სათანადო საექიმო მეთვალყურეობის ქვეშ. დროულად მოვაცილოთ ასეთ ბავშვებს ორგანიზმში არსებული ჩირქოვანი კერები, დავიცვათ ისინი ინფექციისაგან და დაავადების შემთხვევაში ვაწარმოოთ დროული და სწორი მკურნალობა. სრულიად გაუმართლებელია ასეთ ბავშვებში გამაგლობულინის და სხვადასხვა წამლების ხშირი და არარაციონალური გამოყენება.

უკვე განვითარებული ასთმის შემთხვევაში საჭიროა ბავშვის სრული კლინიკური გამოკვლევა, რიგ შემთხვევაში ხერხდება ალერგენის ანუ შეტევის გამომწვევი მიზეზის დადგენა. ამ შემთხვევაში ამ ალერგენის მოცილება, ან მის მიმართ მგრძნობელობის დაქვეითება ხელს უწყობს გაჯანსაღებას ან ყოველ შემთხვევაში შეტევათა შუა პერიოდის მკვეთრად გახანგრძლივებას. აქაც, რა თქმა უნდა, ყურადღება უნდა მიექცეს ორგანიზმში არსებული ჩირქოვანი კერების მოცილებას. მედიკამენტური საშუალებებიდან შეტევათა შუა პერიოდში ინიშნება ზოგად გამამაგრებელი და მადესენსიბილიზებელი ანუ მომატებული მგრძნობელობის დამაქვეითებელი საშუალებანი: როგორიცაა კალციუმის ქლორიდი, ვიტამინი — C, იოდოვანი ნატრიუმი ან კალიუმი, დიმედროლი, სუპრასტინი, ჰორმონები და სხვა. შეტევის პერიოდში ხმარობენ ბრონქების გამაგანიერებელ საშუალებებს, როგორიცაა: ადრენალინი, ეფედრინი, ეუფილინი, ატროპინი და სხვა. კარგია ამ საშუალებათა სასუნთქი გზით, ანუ ინჰალაციური წესით შეყვანა. უკანასკნელ ხანებში იხმარება ჰისტოგლობინიც, ადგილობრივად ინიშნება მდოგვის საფენები. მიზანშეწონილია სუფთა ჰაერით სარგებლობა, სუნთქვის ძლიერი ნაკლებობისას ჟანგბადის მიწოდება. ყველა შემთხვევაში. მკურნალობა უნდა ტარდებოდეს ექიმის მიერ, რადგან ყოველგვარ ზედმეტ და არასაჭირო წამლის ხმარებას შეიძლება მოჰყვეს ბავშვის მდგომარეობის გაუარესება.

რომელი კურორტის გამოყენებაა მიზანშეწონილი ბრონქული ასთმით დაავადების შემთხვევაში? კარგ შედეგს იძლევა მაღალმთიანი კურორტები, განსაკუთრებით შოვი და ბაკურიანი. რიგ შემთხვევაში კარგად მოქმედებს კურორტი ბახმაროც. მაგრამ მხოლოდ შორეული რაიონებიდან ჩამოსულთათვის, ახლომდებარე რაიონებიდან ჩამოსული ბავშვები ეტყობა აქ მსგავს ალერგენებს ხვდებიან, რის მიმართაც მათ უფრო მომატებული მგრძნობელობა აღენიშნებათ და ხშირად გვაძლევენ გამწვავებებს. დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ბავშვებისათვის უკეთეს შედეგს იძლევა აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი და კონტინენტური ჰავა. კარგია კურორტები სურამი, ქვიშხეთი, ბორჯომი და განსაკუთრებით ბაკურიანი. სრუ-

ლიად გაუმართლებელია ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვთა შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე გაგზავნა.

ამრიგად, სწორი და რაციონალური მკურნალობა, მუდმივი საექიმო კონტროლი, ორგანიზმის გამაკაჟებელ და ზოგადგამამაგრებელ საშუალებათა ხმარება გარანტიას იძლევა მკვეთრად შევამციროთ შეტევების რიცხვი და დავიცვათ ბავშვები მოსალოდნელი გართულებებისაგან.

**ნოდარ ხერხეულიძე,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ბავშვთა სნეულებათა კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**

**კულინარია**

# მურაბები

## მსხლის მურაბა

მაგარი, გადაუმწიფებელი საზამთრო ჯიშის მსხალი გაფცქვენით, მოაცილეთ შუაგული და დაჭერით ნაჭრებად. მსხლის ნაჭრები (ერთი კილოგრამი) ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით ცივი წყალი ისე, რომ დაფაროს და ხარშეთ დაახლოებით 15 წუთი. ცალკე მურაბის ტაშტში ჩაყარეთ ერთი კოლოგრამი შაქრის ფხვნილი, დაასხით ზედ მსხლის ნახარში (ერთნახევარი ჩაის ჭიქა), მოურიეთ და ადუღეთ. ჩაყარეთ შიგ გამზადებული მსხლის ნაჭრები და ხარშეთ ნელ ცეცხლზე შემზადებამდე. ხარშვისას შეგიძლიათ დაუმატოთ ოთხი-ხუთი ცალი მიხაკი



## კომშის მურაბა

გარეცხილი, გათლილი, დაჭრილი კომში (ერთი კილოგრამი) ჩაყარეთ მდუღარე წყალში (წყალი კომშს უნდა ფარავდეს) და ხარშეთ, სანამ ცოტა არ შერბილდება. შემდეგ ქაფქირით ამოალაგეთ კომში წვენიდან და ლანგარზე მოათავსეთ ერთ ფენად.

კომშის ნახარში წვენი გაწურეთ, აიღეთ ერთნახევარი ჩაის ჭიქა, ჩაასხით მურაბის ტაშტში, დაუმატეთ ერთი კილოგრამი შაქრის ფხვნილი და მოადუღეთ სიროფი. მერე ჩააწყვეთ შიგ გამზადებული კომში და ხარშეთ შემზადებამდე (დაახლოებით ორი-ორნახევარი საათი).

## თეთრი ყურძნის მურაბა

თეთრი ყურძნის მარცვლებს (ერთ კილოგრამს) გამოაცალეთ წიპწები, დააყარეთ ხუთასი გრამი შაქრის ფხვნილი და გრილ ადგილას გააჩერეთ სამ-ოთხ საათს. მერე მურაბის ტაშტში ჩაყარეთ ხუთასი გრამი შაქრის ფხვნილი, დაასხით ერთი ჩაის ჭიქა წყალი, მოადუღეთ სიროფი და შეაგრილეთ. შეგრილებულ სიროფში მოათავსეთ შაქრიანი ყურძენი, ტაშტი შეანჯღრიეთ, რომ ყურძნის მარცვლები თანაბრად განაწილდეს სიროფში და ხარშეთ შემზადებამდე — დაახლოებით ერთნახევარ-ორ საათს.



## ბადრიჯნის მურაბა

საშუალო სიდიდის ქორფა ბადრიჯნები (უთესლო) გარეცხეთ, წვერები წააჭერით, გაფცქვენით, გაჭერით სიგრძეზე ორ ან ოთხ ნაჭრად ისე, რომ ყუნწი ყველას შეუყოლეთ და მიეცით პატარა ბადრიჯნის ფორმა. ასეთნაირად დაჭრილი 100 ან 110 ცალი ბადრიჯნის ნაჭერი უნდა მიიღოთ. დათლის დროს ბადრიჯანი მაშინვე ჩაყარეთ ცივ წყალში და ჭურჭელს თავი დაახურეთ. შემდეგ ამოიღეთ წყლიდან, გადაიტანეთ სხვა შესაფერ ჭურჭელში, დააყარეთ სამასი გრამი კირი, დაასხით იმდენი ცივი წყალი, რომ დაფაროს და გააჩერეთ საათნახევარს. შემდეგ კარგად გარეცხეთ ცივი წყლით, ჩაყარეთ მდუღარეში და ადუღეთ სამ წუთს. გადაიტანეთ თუშფალანგში, რომ წყლისაგან დაიწრიტოს. კვლავ ადუღეთ წყალი, ჩაყარეთ ერთი სუფრის კოვზი შაბი, შემდეგ ბადრიჯანი და ადუღეთ სამ-ხუთ წუთს. შაბიანი წყალი გადაღვარეთ და ბადრიჯანი გაწურეთ. სუფთა წყალში ჩაყარეთ ნახევარი ჩაის ჭიქა ფხვნილი შაქარი და ბადრიჯანი და ადუღეთ ხუთი წუთი. შემდეგ კვლავ გადაიტანეთ თუშფალანგში, თითოეული ბადრიჯანი კარგად გაწურეთ ხელით. ცხრა-ათი ჩაის ჭიქა წყლისა და ორი კილოგრამი შაქრის ფხვნილისაგან მოადუღეთ სიროფი. მდუღარე სიროფში ჩაყარეთ მომზადებული ბადრიჯანი და ხარშეთ გამზადებამდე. ხარშვის დასასრულს უყავით ვანილინი (თქვენს გემოზე).

## საზამთროს მურაბა

### პირველი ვარიანტი

სქელქერქიან საზამთროს ამოაჭერით გული და მოაცილეთ მწვანე კანი. დარჩენილი თეთრი ნაწილი (ერთი კილოგრამი) დაჭერით სხვადასხვა ფორმის ლამაზ ნაჭრებად, თითოეული ნაჭერი ადგილ-ადგილ დაჩხვლიტეთ წვრილი ჩხირით და ჩაყარეთ შესაფერ ჭურჭელში. ზემოდან დააყარეთ ორასი გრამი კირი, დაასხით იმდენი წყალი, რომ ნაჭრები დაიფაროს და ასე გააჩერეთ ერთი საათი. შემდეგ გამდინარე წყალზე კარგად გარეცხეთ, ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით მდუღარე წყალი და ადუღეთ ათი წუთი. ბოლოს გადაიტანეთ თუშფალანგში. ქვაბიდან წყალი გადაღვარეთ, ჩაასხით ახალი მდუღარე წყალი, ჩაყარეთ ნახევარი სუფრის კოვზი შაბი და წამოადუღეთ. ჩაყარეთ საზამთროს ნაჭრები, ადუღეთ ათი წუთი და კვლავ თუშფალანგში გადაიტანეთ. ქვაბში ჩაასხით მდუღარე წყალი, დაუმატეთ ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, ჩაყარეთ საზამთრო, ადუღეთ ათი წუთი და ისევ თუშფალანგში გადაიტანეთ. ქვაბიდან გადაასხით შაქრიანი წყალი და გამოავლეთ მდუღარე. ქვაბში ჩაასხით სამი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ჩაყარეთ შაქარი (ერთი კილოგრამი), მოათავსეთ შიგ საზამთრო და ხარშეთ გამზადებამდე. ცეცხლიდან გადმოდგმის დროს დაუმატეთ ვანილინი (თქვენს გემოზე).

### მეორე ვარიანტი

სქელქერქიან საზამთროს ამოაჭერით გული და მოაცილეთ მწვანე კანი. დარჩენილი თეთრი ნაწილი (ერთი კილოგრამი) დაჭერით სხვადასხვა ფორმის ლამაზ ნაჭრებად და თითოეული მათგანი ადგილ-ადგილ ჩაჩხვლიტეთ წვრილი ჩხირით. ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალში ჩაყარეთ ერთნახევარი ჩაის კოვზი საჭმელი სოდა, კარგად გახსენით და შეურიეთ ხუთი ჩაის ჭიქა ცივი წყალი. დაასხით გამზადებულ საზამთროს, დაახურეთ თავსახური და გააჩერეთ ოთხი საათი.

მურაბის ტაშტში ჩაყარეთ ექვსასი გრამი შაქრის ფხვნილი, დაასხით სამი ჩაის ჭიქა წყალი, დაადგით ცეცხლზე და ადუღეთ ათითხუთმეტი წუთი.

ამოიღეთ ხსნარიდან საზამთროს ნაჭრები და გამდინარე წყალზე გარეცხეთ ძალიან კარგად. შემდეგ საზამთროს ნაჭრები მოათავსეთ მდუღარე სიროფში და ადუღების მომენტიდან ნელი დუღილით ხარშეთ თხუთმეტი წუთი. გადმოდგით ცეცხლიდან და გააჩერეთ თორმეტი საათი. შემდეგ დაუმატეთ ექვსასი გრამი შაქრის ფხვნილი, დადგით ცეცხლზე და ადუღების მომენტიდან ხარშეთ ნელი დუღილით სამი საათი. ხარშვის დასასრულს უყავით ვანილინი (თქვენს გემოზე).

ასეთივე წესით შეიძლება მომზადდეს ბადრიჯნის მურაბაც.

**თამარ სულაქველიძე**

## კოსმეტიკა

# როცა კანი ჭკნობას იწყებს



ორმოცი წლის შემდეგ, ზოგჯერ კი უფრო ადრეც, სახისა და ყელის კანი შრება ან მორუხო ფერს გადიკრავს. მშრალ კანს ყოველდღიური მოვლა სჭირდება. საღამოს, ძილის წინ 5-10 წუთით წაისვით მკვებავი კრემი, შემდეგ ეს კრემი ნუშის რძეში დასველებული ბამბის ტამპონით ფრთხილად მოიცილეთ, დაიბანეთ სახე და ყელი წყლითა და რომელიმე ნაზი საპნით, შემდეგ კი შეისხურეთ ცაცხვის ყვავილის ნაყენი (ცაცხვის ყვავილს დაასხამთ მდუღარეს და რამდენიმე საათის განმავლობაში თავდახურულს დატოვებთ, მერე გაწურავთ). თუ კანი ძალიან მგრძნობიარე გაქვთ და საპონს ვერ იტანს, დაიბანეთ თბილი რძით, შემდეგ კი ცაცხვის ყვავილის ნაყენი შეისხურეთ. ღამით, დაწოლის წინ წაისვით ვიტამინიზებული, ჰორმონალური ან ჰიდრატანტული კრემი (შენაცვლებით). დილით სახეზე და ყელზე შეიშხაპუნეთ თაფლნარევი ცივი წყალი (ერთ ჭიქა წყალზე ნაკლული ჩაის კოვზი თაფლი) ან ცაცხვის ნაყენი. შემდეგ თხლად წაისვით მკვებავი ან ჰიდრატანტული კრემი (იყიდება საპარფიუმერიო მაღაზიაში), ზევიდან კი პუდრი გადაისვით.

ცხიმიანი, რუხფერდაკრული კანი რომ გამოვაცოცხლოთ, დროდადრო მაწვნით უნდა ვიბანოთ. მაწონს სახეზე 5 წუთს დავიტოვებთ, მერე ჩამოვიბანთ ჯერ ოდნავ თბილი, შემდეგ კი ცივი წყლით. ღამე სახეზე წავისვამთ ჰორმონალურ კრემს, დილით დავიბანთ გრილი წყლით, წავისვამთ კრემს და ზევიდან — პუდრს.

სახის კანს რომ სიმკვრივე დაუბრუნოთ, დაბანვის შემდეგ გაიწმინდეთ ხოლმე ცაცხვის ყვავილის ნაყენში დასველებული ბამბის ტამპონით (ნაყენს უნდა ჩაუმატოთ 1 კოვზი მარილი, ერთი კოვზი სპირტი და 1 კოვზი ლიმონის წვენი).

თუ ყელზე კანი ძალიან მოდუნებული გაქვთ, მაშინ ზემოთჩამოთვლილ პროცედურებთან ერთად, კვირაში ორჯერ, ან ერთხელ მაინც უნდა გაიკეთოთ ასეთი კომპრესი: კოვზით დასრისეთ 2 ცალი მოხარშული ცხელი კარტოფილი, ამ პიურეს დაუმატეთ 1 კვერცხის გული და თითო კოვზი თაფლი, ზეითუნის ზეთი და გლიცერინი. ეს მასალა ფართო დოლბანდზე მოათავსეთ და თბილ-თბილი მოიხვიეთ კისერზე. დოლბანდს ზევიდან დააფარეთ ნეილონის ქსოვილი და გაიკარით. 15-20 წუთის შემდეგ საფენი მოიხსენით, მოიბანეთ თბილი წყლით, ოდნავ გადაისვით მკვებავი კრემი და ბოლოს შეისხურეთ ცაცხვის ყვავილის ნაყენი.

**ჟურნალი „ბოლგარსკაია ჟენშჩინა“.**

გარეკანი. პირველ გვერდზე — კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტი. მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი; მეოთხე გვერდზე — არსენა ოძელაშვილის მონუმენტი მცხეთაში. მოქანდაკე ელენე მაჩაბელი.

რედაქტორი **მარიკა ბარათაშვილი**

სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.**

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 17/VIII წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29. IX 71 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 123.260. შეკვ. 2963 უე. 02153. ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შანელის რამდენიმე რჩევა

გიყვართ სამკაულები? თუ გიყვართ და ატარებთ კიდეც—გულქანდს, მძივს თუ გულსაბნევს, იცოდეთ, რომ მათ აუცილებლად თავისი ადგილი უნდა მოუძებნოთ. ჰოდა, თუ სამკაული ლამაზია და გიხდებათ, განა სულერთი არაა, ძვირფასია ის თუ უბრალო?

* * *

ნელსაცხებლის სურნელება ქალს განსაკუთრებულ პოეტურ არომატს ანიჭებს. მაგრამ ის უაღრესად ინდივიდუალური უნდა იყოს და თან ისეთი, რომ მისი დავიწყება შეუძლებელი გახდეს, ის თითქოს ამბობს — „მე წავედი, მაგრამ მე ისევ აქა ვარ...“

* * *

ჩაცმაში რომ ახალგაზრდულ სტილს მისდიოთ, სულიც ქაბუკური უნდა გქონდეთ შერჩენილი და თავს ახალგაზრდულად გრძნობდეთ, მოხდენილად უნდა იდგეთ და იაროთ, თქვენს ჩაცმულობაში პრეტენზიულობა არ უნდა იგრძნობოდეს. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ზოგიერთი ქალიშვილი უფრო ხანდაზმულად გამოიყურება, ვიდრე ასაკოვანი მანდილოსანი.

* * *

ბევრ ქალს არა აქვს იმის საშუალება, რომ ყოველი დღესასწაულისთვის ახალი კაბა შეიძინოს. მხოლოდ შავი კაბა შეიძლება ატარო მუდმივად და განუწყვეტლივ განაახლო.

* * *

გემოვნებაზე კამათი შეიძლება, მაგრამ უგემოვნება ექვსგარეშეა.

* * *

კაბა მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა ქალს ამშვენებს. თავისთავად კაბა არ არსებობს. ეს არც აბსტრაქტული ხელოვნებაა და არც არქიტექტურა. რა ლამაზიც არ უნდა იყოს კაბა, მთავარი მაინც ქალია და თუ მას ეშხი აკლია, მხატვარი (მოდელიორი) ყოველგვარ ხერხს ხმარობს, რომ ის გაალამაზოს და, რაც მთავარია, უფრო ქალური გაჰხადოს.

* * *

ძალიან ცოტა ქალებს შეუძლიათ მოდის ყოველი შეცვლისას მთლიანად განიახლონ გარდერობი. და განა მართლა აუცილებელია ახალი კაბა სადმე წასასვლელად? განა ასე უმნიშვნელოა თვით ქალი და ასე მნიშვნელოვანი ახალ-ახალი კაბები?

* * *

თუ თქვენ ახალი კაბა შეიძინეთ ან შეიკერეთ, წინასწარ ჯერ სახლში ატარეთ. ის ხომ „სულდგმულია“ და თქვენ ერთმანეთს უნდა შეეგუოთ. კაბა არ უნდა გბოჭავდეთ, მასში თავს ლაღად უნდა გრძნობდეთ, თორემ ვერც თქვენ და ვერც თქვენი კაბა შთაბეჭდილებას ვერ მოახდენთ. იცოდეთ: კაბის ტარება იმას ნიშნავს, რომ სულ არ გახსოვდეთ, კაბა თუ გაცვიათ.





ИНДЕКС 76178